სარგიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 12 აპრილი 2005 №80 (2403) ფასი 50 თეთრი



ციფრები და ფიქრები

მანტილეგა ამოსხნილია



UEFA CHAMPIONS LEAGUE

ინტერი — მილანი
ჩელსი — ბაიერნი

დღეს საპასუხო ჭიდაობა

6-7



ზვიგენი და სერფიანი გოგონა

15

ნოდარ ახალკაცი: NO COMMENT



გადღი კეთილაძის ფოტო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობას ნოდარ ახალკაცის ვაჟი, უმცროსი ნოდარ ახალკაციც რომ აპირებს, ჯერჯერობით კულუარული ინფორმაციაა, თუმც იმავ კულუარებში ამბობენ, რომ ხელისუფლების ფავორიტი უფრო ახალკაცია, ვიდრე ვლადიმერ გუცაევი. ახალკაცი ახალგაზრდაა და მას ევროპაში მიუღია განათლება — ასეთ სტატუსს ახლა დიდი გასავალი აქვს...

ახალკაცი ახლა გერმანიაში გახლავთ და გუშინ მას ტელეფონით ვესაუბრეთ.

— ამბობენ, რომ თქვენ ფედერაციის პრეზიდენტობას აპირებთ...

— კომენტარისგან თავს შევიკავებ.

— ესე იგი, არც ჰოს ამბობთ და არც არას...

— მე ეს არ მითქვამს, მე, უბრალოდ, კომენტარისგან ვიკავებ თავს.

— ამჟამად რას საქმიანობთ?

— ჰაიდელბერგში ვარ და იურიდიულ განათლებას ვიღრმავებ.

— ანუ ჯერ სწავლობთ და არ მუშაობთ?

— ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი უკვე დავამთავრე და ახლა ორწლიანი პრაქტიკა უნდა გავიარო. ხან მოსამართლის ასისტენტობა მიწევს, ხან პროკურორის და ხან ადვოკატის.

— როდის დაასრულებთ ამ ორწლიან პრაქტიკას?

— ეს პრაქტიკა ადრე დავიწყე, მაგრამ ავადმყოფობამ შემიშალა ხელი. ხელმეორედ ამ პრაქტიკას ორი თვის წინ შევუდექი.

დავით თავართქილაძე

ალისანდრე გურასაშვილის ფოტო

წავიდა, რათა დარჩეს

მსოფლიოს სამგზისა და აბსოლუტური ჩემპიონი რუსუდან ხოფერია აქტიურ სპორტს გამოეთხოვა

ციფრები და ფიქრები

განტოლება ამოხსნილია

გადარი ალექსანდრის ფოტო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობისთვის რბოლა უკვე დაიწყო. საჯაროდ ჯერჯერობით მხოლოდ ვლადიმერ გუცაევმა გამოთქვა პრეზიდენტობის სურვილი და სხვათა გარდა იმაზეც ილაპარაკა, თუ რა ანაზღაურება აქვთ საბერძნეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელ ოტო რეჰაგელს და ჩვენი უმთავრესი გუნდის თავკაც ალენ ჟირესს. გუცაევის თქმით, რეჰაგელს წლიური ჯამაგირი 250 000 დოლარია, ჟირესზე კი დასძინა, ფრანგს, მგონი, სამჯერ მეტი აქვსო.

გუშინ ბერძნული სპორტული გაზეთის „SPORTIME"-ის ჟურნალისტ ლარი სუსკასს დავუკავშირდით და მან გვითხრა, რომ რეჰაგელის ხელფასი კონფიდენციალური არ არის — ბერძენთა გერმანელ მწვრთნელს წინა შესარჩევ ციკლში თვიური ხელფასი 40 000 ევრო ჰქონდა, მიმდინარეში კი 50 000 (65 000 დოლარი), ხოლო თუ წლიურ გასამრჯელოს დავუთვლით, თანხა 780 000 დოლარს შეადგენს.

ჟირესის ხელფასი კი ჯერაც კონფიდენციალურია, თუმც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი თანამშრომლისგან, რომელმაც ანონიმურობა ისურვა, შევიტყვეთ — ფედერაციამ ჟირესს ერთ შესარჩევ ციკლზე (დაახლოებით წელიწადნახევარი) გაუფორმა კონტრაქტი და ამისთვის მუსიე ალენი 400 000 დოლარს მიიღებს, წელიწადში კი, ცხადია, ამაზე ნაკლებს.

დავით თავართქილაძე

გადარი ალექსანდრის ფოტო

იარა, იარა და... მაინც სკონტო

ჩალაძე რიგაში მესამედ დაბრუნდა

29 წლის დავით ჩალაძე ოთხწლიანი განშორების შემდეგ რიგის „სკონტოს" დაუბრუნდა. როგორც სკონტოელთა გენერალურმა მენეჯერმა გენადი კარავაევმა თქვა, ჩალაძესთან კონტრაქტი უახლოეს დღეებში გაფორმდება: „წვრილმანი ტექნიკური დეტალებია მოსაგვარებელი. რაც მთავარია, ჩალაძე განაცხადში შეყვანილია".

ქართველი ფორვარდი პირველად 1997 წელს აღმოჩნდა „სკონტოში", ორი წლის შემდეგ გუნდი დატოვა, თუმც მერე ისევ დაბრუნდა. 2001 წელს დაოთ ყაზანის „რუბინში" გადავიდა და სწორედ მისი გოლებით აღზევდა ეს კლუბი რუსულ პრემიერლიგაში. ამ ცოტა ხნის წინ კვიპროსელი „ანართოსისიდან" აბარგებული ჩალაძე ლატვიურ „ვენტაში" ცდილობდა გადასვლას, მაგრამ ეს საქმე არ გამოვიდა და არც უნანია — სად „ვენტა" და სად „სკონტო"...

ლატვიის უცვლელ ჩემპიონთა ქომაგები სიხარულით შეხვდნენ ჩალაძის დაბრუნებას. აბა, როგორ, ჩვენებურმა „სკონტოს" მაისურით 77 მატჩში 72 გოლი გაიტანა, 2000 წელს კი ლატვიის ჩემპიონატის ბომბარდირიც გახდა.

დათოს „სკონტოში" სამი ქართველი დახვდა — ზაალ ელიავა, ზურაბ მენთეშაშვილი და ლევან კორღალიძე.

და კიდეკ, „სკონტოს" ვიცე-პრეზიდენტად რევაზ ძოძუაშვილი დანიშნა. მოკლედ, ჩალაძის მსგავსად რიგაში კიდევ ერთი ქართველი დაბრუნდა.

ილია ნანოგაფშვილი

ევროსეზონს უნახავი უნგრელებით ვხსნით

INTERTOTO CUP

შვეიცარიის ქალაქ ნიონში ინტერტოტოს თასის კენჭისყრა გაიმართა. ამ დაბალრანგიან ევროტურნირზე საქართველოდან კვლავაც ერთი კლუბი ითამაშებს. პირველ ეტაპზე ჩვენების მეტოქე უნგრული გუნდი იქნება — 18-19 ივნისს სტუმრად, 25-26 ივნისს კი შინ თამაშია.

თუ მოხდა და, უნგრული ბარიერი გადაილახა, 2 და 9 ივლისს ლუქსემბურგული ან შვედური კლუბი გველის, ოღონდ ამჯერად პირველი მატჩი საქართველოშია.

მომდევნო ეტაპზე კი (წავიოცნებოთ მაინც) გერმანული ან ავსტრიული გუნდის ჯერია — 16 და 23 ივლისს.

საქართველოდან სავარაუდო ინტერტოტოელები „ლოკომოტივი", „ობილისი", „ზესტაფონი", „ტორპედო" და „ვიტ ჯორჯია" არიან. შარშან კი ამ ტურნირზე გორის „დილაშ" ითამაშა — ბულგარულ „მარეკს" სტუმრად 0:0 „გაუბედა", შინ კი 0:2 წაგო.

საინტერესოა, რომ დამოუკიდებლობისას ქართულ-უნგრული კლუბები არასოდეს გადაჰყრიან ერომანეთს ევროტურნირებზე. საბჭოეთის დროს კი მადიარებთან თამაში ცუდად გვახსოვს — „დინამომ" ბუდაპეშტის მტკ-სთან შინ 1:4, სტუმრად კი 0:1 წააგო.

ისე, ინტერტოტო რომ მთლად ბეჩავი ტურნირი არაა, „ვილიარეალი" ამტკიცებს — ესპანელებმა შარშანაც და წლეულსაც აქედან დაიწყეს და უეფას თასზე გასულები ჯერ ნახევარფინალში თასის მოძალე მფლობელ „ვალენსიასთან" გავარდნენ, წლეულს კი ჯერჯერობით მეოთხედფინალში არიან...

ილია ნანოგაფშვილი

ფეხბურთის კლუბი „ამერი"
ღრმა მწუხარებას გამოთქვამს
გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის
გივი ნოდიას
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს
განსვენებულის ოჯახს

საფეხბურთო კლუბი ბათუმის „დინამო"
ღრმა მწუხარებას გამოთქვამს,
რომ გარდაიცვალა წარსულში
ცნობილი ქართველი ფეხბურთელი
გივი ნოდია
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

ჰოლანდია

II დივიზიონი. XXXI ტური
აპელდორნი 2:0 ვენლო
ემენი 1:0 ჰაარლემი
ექსელსიორი 1:2 ვოლენდამი
დორდრეხტი 0:0 ვეენდამი
სიტარდი 0:2 ეინდჰოვენი
იგლსი 1:1 მაასტრიხტი
ჰელმონდი 6:1 კამბური
ჰერაკლესი 2:1 ზვოლე
ტელსტარი 3:3 სპარტა

იტალია

სერია CYA. XXXII ტური
პავია 2:4 პისტოიეზე

პორტუგალია

სუპერლიგა. XXVIII ტური
ბელენენსეში 0:0 აკადემიკა
ეშტორილი 0:1 ბრაგა

გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXVIII ტური
კიოლნი 3:2 ფიურტი

შვედეთი

ალსვენსკა. I ტური
იორგრიტე 2:1 ლანდსკრონა
სუნდსვალი 3:1 ელფსბორგი
იურგორდენი 2:1 ჰეკენი

ინგლისი

ჩემპიონატი. XLII ტური
ვულვერჰემპტონი 2:0 იფსვიჩი

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XXII ტური
სპარტა 2:0 ზლინი

საფრანგეთი

II დივიზიონი. XXXII ტური
ლავალი 2:2 სედანი

ნორვეგია

ტიპელიგა. I ტური
ბრანი 2:0 ვიოლდე

საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე ეტაპი

27 ტური მიმოხილვა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

თბილისი	2:2	ტორპედო
ვიტ ჯორჯია	1:2	ზესტაფონი
ბათუმი	1:2	დინამო
სიონი	3:0	ჯოლხეთი
დილა	0:1	ლოკომოტივი

„თბილის“ — „ტორპედოს“ ნაღდად შეეხედებოდა

ალექს ციციშვილის ფოტო

ერთი მეოთხედიც და...

დაძაბულობის ამბავში მართლა თვალსასეირო გამოდგა მესამე წრის ბოლო ტური. „დინამომ“ ბათუმში მოგებით ხომ გაიხარა და თან „თბილისი“ — „ტორპედოს“ ფრეც რომ.ალჩუზე დაუჯდა. კახა ცხადაძის ბიჭები ოთხქულიანი ჰანდიკაპით დაუსხლტნენ მდევრებს, რომელთაც კუდზე დააჯდა ნოდარ აკობიას წლეულს დაუმარცხებელი „ლოკომოტივი“.

„ლოკომ“ „მორცხვი“ 1:0 იკმარა მშიერ გორის „დილასთან“, რომელსაც უმაღლესლიგელობაზე ხელი ჩაუქნევია. ოქროს თამაში მოიგო „სიონმა“ — უშუალო კონკურენტი და ფინანსურად უძლური „კოლხეთი“ გაამწარა და ახლა ერთი ქულითღა ჩამორჩება.

„ზესტაფონმა“ და „ვიტ ჯორჯიამ“ კი მეხუთე-მეექვსე ადგილები გააცვალეს — იმერლებს რა უჭირთ, ვიტელებმა იკითხონ, ბოლო 7 ტურია, მოგების გემო არ იციან.

ბადრი ჯბილაძის ფოტო

მიშველეთ, უნდა გადავხტე...

ტურის მთავარ მატჩში „თბილისი“ 2:2 დაუზავდა „ტორპედოს“. თბილისელებს ერთი წამყვანი ფეხბურთელი ისედაც არ ჰყავდათ — სანდრო იაშვილს ტრავმამ არ მისცა მოედანზე გასვლის საშუალება, აი, მეკარე სოსო გრიშიკაშვილმა კი ნემსებით ჩაამთავრა თამაში.

გრიშიკაშვილმა პირველივე წუთზე დავით ბოლქვაძის დარტყმული მოიგერია და წელიც აიტკივა. ამის მერე მატჩის ბოლომდე სოსომ რამდენი ნახტომიც გააკეთა, იმდენჯერ ექიმის დახმარება დასჭირდა. მოკლედ, თბილისელთა მეკარე და ექიმი დიდ გაწამაწიაში იყვნენ...

რა კარგ დროს მამესწარი...

შავ ღლეშია გორის „დილა“, მაგრამ კვირას მომხდურ „ლოკომოტივს“ ხონჩით რიდი მიართვა ქულები — გორელებმა იბრძოლეს, რაც შეეძლოთ და მეტი რა ქნან, კოებად ხომ არ გადაიქცევიან?! „დილას“ აწ უკვე ექსთავკაცმა მერაბ ხუციშვილმა დინამოელებთან 0:9 წაგების მერე კი თქვა, „დინამოს“ ერთგული ქომაგი ვარო, მაგრამ ამ კაცს თავმოყვარეობა თურმე როდი დაუკარგავს. სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო და... მის ნაცვლად გორელებს რეზო მამესწარიშვილი ჩაუდგა სათავეში. ვერ ვიტყვით, ამ კაცმა ჯადოსნური ჯოხი დაჰკრა გუნდსო, მაგრამ „ლოკოსთან“ 0:1 წაგება „დილასთვის“ შერცხვენაც არ იყო.

ეს მამესწარიშვილმაც იცის და აკი თქვა კიდეც ნამატჩევს — ბიჭებს საჭმელი ენატრებათ, მათ დანახვაზე გული მიკვდება და რომელ შედეგზეა ლაპარაკი.

ამბობენ, მომავალ ტურში „დილა“ მშიერი აღარ იქნება, მეპატრონე გამოუჩნდებაო და ვნახოთ, ჩვენც ეს გვინდა...

ზესტაფონი თავს იფასებს

ესეც მეთერთმეტე! დიახ, წლეულს ჩემპიონატიან-თასიანად „ზესტაფონმა“ თერთმეტი წაუგებელი მატჩი ჩაატარა. იმერლები თამაშიდან თამაშამდე ამტკიცებენ, რომ ფულს წყალში არ ყრიან და ამბიციებიც ტყუილად არ მოსძალებიათ.

ყველაზე დასაფასებელი კი სხვა რამ გვგონია — „ზესტაფონს“ ჩემპიონატში დიდი მიზნები არ ამოძრავებს (თასს უფრო უმიზნებს), მაგრამ ერთხელაც არ უფიქრია, ძალას დავზოგავ და ზერელედ ვითამაშებო.

ეს ამბავი ზესტაფონელებმა გუშინწინაც დაამტკიცეს — მცხეთაში ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“ ესტუმრნენ და დამსახურებულად მოუგეს.

ალექს ციციშვილის ფოტო

ბომბარდირები

21-ჟელიკაევ	დინამო
19-ბეგრელაძე	ტორპედო
11-ოდიკაძე	თბილისი/დინამო
მარცვალაძე	ვიტ ჯორჯია
10- ბოლოხიძე	ლოკომოტივი
9- დვალი	დინამო
8-ბერეგაშვილი	ვიტ ჯორჯია
ყაფლანი	თბილისი
ფიფია	თბილისი

დინამო	27	17	4	6	58:24	55
თბილისი	27	15	6	6	48:29	51
ტორპედო	27	14	9	4	43:23	51
ლოკომოტივი	27	12	11	4	34:19	47
ზესტაფონი	27	12	4	11	27:39	40
ვიტ ჯორჯია	27	10	8	9	39:32	38
ბათუმი	27	7	10	10	28:24	31
ჯოლხეთი	27	7	5	15	25:38	26
სიონი	27	7	4	16	24:49	25
დილა	27	2	3	22	16:65	9

მომდევნო ტური

17 აპრილი, კვირა

ვიტ ჯორჯია – ჯოლხეთი

ბათუმი – დილა

თბილისი – ზესტაფონი

სიონი – დინამო

ლოკომოტივი – ტორპედო

სიმბოლური ნაკრები

- ზაზა ზირაქიშვილი, ზესტაფონი
- რევაზ ჯიქია, ტორპედო
- გოჩა ჯამბარაული, დინამო
- რევაზ გეწაძე, თბილისი
- გიორგი თურმანიძე, ზესტაფონი
- გია ნერგაძე, ტორპედო
- გრიგოლ დოლიძე, სიონი
- ზურაბ ქავსაშვილი, ზესტაფონი
- დავით გამეზარდაშვილი, ტორპედო
- ლევან შავგულიძე, ზესტაფონი
- თამაზ ილურიძე, დილა

გუნდი: ზესტაფონი

მწვრთნელი: თემურ მახარაძე

ლევან კობიაშვილის „შალკემ" უდროო დროს წაიფორხილა

ცენტრალური თემა: ცენტრალური ქართველები

შალკე ჩაჭრეს და ამოჭრეს

ლევან კობიაშვილის „შალკე" საჩემპიონო გამოცდაში ჩაიჭრა. გულზენკირხენელებმა ვერ გაუძლეს ამხელა დატვირთვას და იმ დროს გადაუბრუნდათ ფეხი, როცა ყველა ბუნდესლიგის მძაფრი ფინიშის მოლოდინში იყო. „შალკემ" 0:3 წააგო „შტუტგარტთან" და ახლა უკვე აღარავის ეპარება ეჭვი მიუნხენის „ბაიერნის" ჩემპიონობაში. „შალკეს" კი ისე შეუტრიალდა საქმე, რომ მეორე ადგილიც საბრძოლო აქვს იმავ „შტუტგარტთან".

მოსკოვის „ლოკომოტივმა" 1:0 მოუგო ყაზანის „რუბინს". ამ მატჩში კი საინტერესო ის მოხდა, რომ: „გუნდების ცენტრალური მცველები სხვებზე ერთი თავით მაღლა იდგნენ" — წერს „სპორტ-ექსპრესი". შეგახსენებთ, რომ „ლოკომოტივის" ცენტრალური მცველი *მალხაზ ასათიანი* (ვინც ჟურნალისტებისგან ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო), „რუბინისა" კი *ლაშა სალუქვაძე* (დებიუტი ჰქონდა). ერთი სიტყვით, ქართველებმა გამორჩეულად ითამაშეს...

ქართველების წყალობით გადაარჩინა ქულა „ალანიამაც". ვლადიკავკაზელებს ძირითად შემადგენლობაში სამი ჩვენებური ჰყავდათ — *ლადო ბურდული, დავით კვირკველია* და *ჯაბა კანკავა*, მეოთხე — *ვიტალი დარასელია* კი შეცვლაზე შევიდა და ალანიელთა შორის საუკეთესოდაც გაისარჯა. ოსები 0:1 აგებდნენ იაროსლავლის „შინიკთან", თუმც კვირკველიას უზადო პასით მოლდოველმა დადუმ გაათანაბრა და ეს ანგარიში აღარც შეცვლილა. „ალანიამ" პირველი ქულა აიღო და პირველი გოლი გაიტანა ამ სეზონში.

სამი საგოლე პასი მიითვალეს ქართველებმა ლატვიის ახალდაწყებულ ჩემპიონატში. ლევან კორღალიძემ და *ზურაბ მენთეშაშვილმა* „ვენტასთან" მატჩში გამოიჩინეს თავი — „სკონტომ" 3:0 მოიგო, ძირითადში კი კიდევ ერთმა ჩვენებურმა, *ზაალ ელიავამ* ითამაშა და წარმატებული ლატვიური დებიუტიც მოიწყო.

მესამე ქართული პასი *ალექსანდრე რეხვიაშვილის* ანგარიშზეა — „ვენტსპილსმა" 2:0 დაამარცხა „რიგა" და „რეხვომ" პირველ გოლში მიიღო აქტიური მონაწილეობა.

ზემოთ დებიუტებზე ვთქვით და თემას აქვე გავაგრძელებთ — *გიორგი მოდებაძემ* („ვენტსპილსი") და *ლევან მიქაძემ* („მეტალურგსი") ლატვიის ჩემპიონატი პირველად დააჭაშნიკეს. საინტერესოა, რომ ლატვიაში მოთამაშე ყველა ქართველის გუნდმა პირველ ტურში მშრალად მოიგო.

უკრაინაში გიორგი დემეტრაძე გამოირჩა. დონეცკის „მეტალურგმა" 2:1 მოუგო „დნიპროს" და ერთი გოლი შეცვლაზე შესულმა „დემემ" გაიტანა. ეს გიორგის მეოთხე გოლი იყო ამ სეზონში.

კახა ზალამგერიძე

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	შ	ბრეშა 1:1	0		13	1	1
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	ს	შტუტგარტი 0:3	90		27	3	2
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	ს	ჰერტა 1:3	90		25	2	18
ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	ს	ჰერტა 1:3	45	შეცვლაზე ითამაშა	18	1	18
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი	ს	ჰერტა 1:3	0	ტრავმირებულია	8	0	18
გერმანია. მეორე გუნდესლიგა								
ხვიჩა შუბითიძე	აუე	ს	ბურგჰაუზენი 2:2	32	შეცვლაზე ითამაშა	14	2	7
დავით სირაძე	ტრირი	ს	კოტბუსი 1:2	76	შეცვალეს	16	1	9
შოტლანდია. პრემიერლიგა								
შოთა არველაძე	რეინჯერსი		ტური გამოტოვა			18	4	1
ზურაბ ხიზანიშვილი	რეინჯერსი		ტური გამოტოვა			15	0	1
ჰოლანდია. პირველი დივიზიონი								
გოგა გახოკიძე	ტვენტე	ს	ჰერენვენი 2:1	0	ტრავმირებულია	2	0	6
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	შ	რუბინი 1:0	90		4	0	5
მიხეილ აშვეთია	ლოკომოტივი	შ	რუბინი 1:0	0	სათადარიგო	0	0	5
რომან ახალკაცი	ლოკომოტივი	შ	რუბინი 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	5
მათე ღვინიანიძე	ლოკომოტივი	შ	რუბინი 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	5
გიორგი ჭელიძე	ლოკომოტივი	შ	რუბინი 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	5
ვიტალი დარასელია	ალანია	შ	შინიკი 1:1	35	შეცვლაზე ითამაშა	2	0	16
ლევან გვაზავა	ალანია	შ	შინიკი 1:1	0	განაცხადში არ იყო	1	0	16
ლადო ბურდული	ალანია	შ	შინიკი 1:1	55	შეცვალეს	3	0	16
დავით კვირკველია	ალანია	შ	შინიკი 1:1	90	საგოლე პასი	3	0	16
ჯაბა კანკავა	ალანია	შ	შინიკი 1:1	90		3	0	16
გიორგი შაშიაშვილი	ალანია	შ	შინიკი 1:1	0	სათადარიგო	0	0	16
ლაშა სალუქვაძე	რუბინი	ს	ლოკომოტივი 0:1	90	გააფრთხილეს	1	0	11
რუსეთი. პირველი დივიზიონი								
გიორგი ლომაია	ხიმკი	ს	ბრიანსკი 2:0	0		0	0	7
გოგიტა გოგუა	ხიმკი	ს	ბრიანსკი 2:0	0		0	0	7
რევაზ გოცირიძე	კამაზი	ს	პეტროტრესტი 7:1	28	შეცვლაზე ითამაშა	3	0	1
კახა მუავანაძე	ანჟი	ს	სკა-ენერგია 2:2	7	შეცვლაზე ითამაშა	1	0	10
მამუკა ლომიძე	ჩკალოვეცი	ს	ლოკომოტივი 0:1	90		1	0	17
ლევან ბერიშვილი	მ. კუზბასი	ს	ამური 1:3	35	შეცვლაზე ითამაშა, შეცვალეს	2	0	21
პაატა ჯინჭარაძე	ბრიანსკი	შ	ხიმკი 0:2	90		4	0	18
დავით ხმელიძე	ჩელიაბინსკი	შ	სოკოლი 2:1	90		3	0	9
შვეიცარია. სუპერლიგა								
ლადო ახალაია	ციურიხი	შ	გრასჰოპერი 1:1	0	განაცხადში არ იყო	4	0	3
შვეიცარია. ჩელენჯლიგა								
მიხეილ ყაველაშვილი	სიონი	შ	კიასო 4:3	0	განაცხადში არ იყო	0	0	5
ავსტრია. მაძსბუნდესლიგა								
დავით მუჯირი	შტურმი	ს	ადმირა 1:1	0	ტრავმირებულია	21	4	8
საბერძნეთი. ეროვნული ლიგა								
ლევან მაღრაძე	ქსანთი	შ	პანიონიოსი 3:0	63	შეცვალეს	23	0	4
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
გიორგი დემეტრაძე	მ. დონეცკი	შ	დნიპრო 2:1	36	შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი	18	4	3
ლაშა ჯაკობია	მეტალისტი	შ	შახტარი 0:1	90	გააფრთხილეს	16	2	9
ვასილ გიგიაძე	ტავრია	ს	კრივბასი 2:0	90	გააფრთხილეს	20	8	8
ალეკო ამისულაშვილი	დნიპრო	ს	მ. დონეცკი 1:2	0		0	0	6
გრიგოლ ჭანტურია	ზაკარპატიე	ს	ობოლონი 0:0	0		0	0	15
ირაკლი მოდებაძე	მ. ზაპოროჟიე	შ	ილიჩევეცი 0:2	0	ტრავმირებულია	7	3	13
არჩილ ბაჯელიძე	მ. ზაპოროჟიე	შ	ილიჩევეცი 0:2	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	13
ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა								
ამირან მუჯირი	ცსკა	ს	ლოკომოტივი 1:0	75	გააფრთხილეს, შეცვალეს	20	4	1
ვლადიმერ კაკაშვილი	ჩერნო მორე	შ	როდოპა 1:0	0		11	0	6
კოტე დარსანია	ჩერნო მორე	შ	როდოპა 1:0	45	1 გოლი, შეცვალეს	7	2	6
პოლონეთი. პირველი ლიგა								
მამია ჯიქია	პლოცკი	შ	ვისლა 1:1	79	შეცვალეს	15	1	5
ლატვია. უმაღლესი ლიგა								
ლევან კორღალიძე	სკონტო	ს	ვენტა 3:0	90	საგოლე პასი	1	0	1
ზურაბ მენთეშაშვილი	სკონტო	ს	ვენტა 3:0	90	საგოლე პასი	1	0	1
ზაალ ელიავა	სკონტო	ს	ვენტა 3:0	90		1	0	1
დავით ჩალაძე	სკონტო	ს	ვენტა 3:0	0	სათადარიგო	0	0	1
ლევან მიქაძე	მეტალურგსი	შ	ოლიმპი 3:0	90		1	0	2
ალეკო რეხვიაშვილი	ვენტსპილსი	ს	რიგა 2:0	90	საგოლე პასი	1	0	3
გიორგი მოდებაძე	ვენტსპილსი	ს	რიგა 2:0	90		1	0	3
თამაზ პერტია	დინაბურგი	შ	იურმალა 1:0	90		1	0	4

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ერთი ფურთხის ორი სახე

ბარტეზი და მსაჯი გაიბუტნენ

ფაბიენ ბარტეზს რასაც ედავებიან და რის გამოც უპირებენ დასჯას, კარგად ცნობილი ამბავია — მარსელის „ოლიმპიკისა“ და მაროკოული „ვიდად კასაბლანკას“ ამხანაგური მატჩის დროს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა მეკარემ მსაჯს მიაფურთხა.

და აი, თემის გაგრძელება: ფაბიენ ბარტეზმა განაცხადა, მიფურთხებას ვაღიარებ, მაგრამ დავძენ, მე მსაჯისთვის სახეში არ მიმიფურთხებიაო

ეტყობა ეს მნიშვნელოვანია, რადგან საფრანგეთის ტელევიზიის პოპულარულ პროგრამას „ტელეფუტი“ „მარსელის“ კარის მცველმა შემდეგი განუცხადა:

„მე იმ შეხვედრაში მალე შემცვალეს, იმიტომ რომ მოედანზე გაჩერება აღარ შემეძლო. ახლაც კი შოკში ვარ. ვუყურებ ვიდეოჩანაწერს და საკუთარ ქცევას რომ ვხედავ, ძალიან მიკვირს, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ წონასწორობიდან გამოსვლა პასუხი იყო ჩემი თანაგუნდელის წინააღმდეგ უხეშობაზე.

მინდა გითხრათ, რომ მსაჯი მართალი არ იყო. მერედა, მე მისთვის სახეში არ მიმიფურთხებია და ვინც ამას მაბრალებს, მატყუარაა.

ერთხელაც ვადასტურებ, ჩემი საქციელისა მრცხვენია, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ამ კადრებს ბავშვები უყურებენ, მაგრამ ვიმეორებ, მსაჯი მართალი არ იყო. მე სადისციპლინო კომისიას დაველაპარაკები და ჩემს არგუმენტებს წავუყენებ. ვერასდროს შევეგუები ჩემი თანაგუნდელისთვის ჩარტყმას.

გავიგე, თურმე ის მსაჯი ჩემს პატიებას არ აპირებს. ძალიანაც კარგი, არც მე ვაპირებ მისი ცუდი საქციელის დავიწყებას“.

ბოლოს კი ფაბიენ ბარტეზმა უარყო ჭორები იმის შესახებ, თითქოს შემდეგი სეზონის ბოლოს ფეხბურთიდან წასვლას აპირებდეს.

„მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ 2006 წელს თავისუფალი აგენტი გავხდები“ — დასძინა მან.

ბაკუნა კედია



დარდი ჯერარდი

ლივერპულს კაპიტანი დაუშავდა

„ლივერპულის“ კაპიტანი სტივენ ჯერარდი ხვალ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრაში „იუვენტუსის“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს — ასეთი ცნობა მოედო მსოფლიოს გუშინ ლივერპულიდან, სადაც ექიმებმა ინგლისის ნაკრების ნახევარმცველს სახარფულის ტრავმა დაუდგინეს და რამდენიმედღიანი მკურნალობა დაუნიშნეს.

ჯერარდი შაბათს, „ძანჩესტერ სიტისთან“ 0:1 წაგებული შეხვედრის ბოლო წუთებზე დაშავდა. ლივერპულელი ექიმები ამბობენ, რომ მისი ტურინში თამაში გამორიცხულია, თუმცა შაბათს, პრემიერლიგის მორიგ ტურში „ტოტენჰემთან“ შეიძლება ითამაშოს.

ბაკუნა კედია

მშვიდად, ჩვენ იუვენტუსი ვართ!

ბებერი ქალბატონი გარანტიას ვერ იძლევა

წინა სამშაბათს, „ენფილდ როუდზე“, ტურინელი ფაბიო კანავაროს მიერ „ლივერპულის“ კარში 63-ე წუთზე გატანილმა გოლმა მასპინძლებს საათივით აწყობილი საქმე აურია. სწორედ ამ გოლის გამო ხვალ, „იუვენტუსს“ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ერთი უპასუხო გოლის გატანაც აძლევს ხელს, ხოლო, „შავთეთრები“ რომ 1:0-ების ოსტატები არიან, მტკიცება არავისთვის სჭირდება. და მაინც, მათთვის, ვისაც არ ახსოვს, გავიხსენებთ, რომ „ბებერმა ქალბატონმა“ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე ექვსიდან ხუთი შეხვედრა სწორედ 1:0 მოიგო. ეს ყველაფერი კი იმიტომ მოვყევით, რომ **დავიდ ტრეზეგე** *გვეხსენებინა — ტურინელთა ფრანგმა თავდამსხმელმა გოლების გატანის თვისება მერვედფინალში, მადრიდის „რეალთან“ თამაშის დროს „აღიდგინა“ და ახლა ამბობენ, რომ ხვალინდელი მატჩის ერთადერთი გოლის ავტორიც ის უნდა იყოს...*



— მიმდინარე სეზონის განმავლობაში, ბოლო დრომდე, ტრავმები გაწვალებდნენ. რამდენად გთრგუნავდათ ეს ამბავი?

— საშინლად დამთრგუნველი გახლდით, ვინაიდან ამქვეყნად თანაგუნდელებთან ერთად მოედანზე ყოფნას არაფერი მირჩევნია. მეორე მხრივ, ჩემს არყოფნაში „იუვემ“ დიდი სამუშაო გასწია. ასე რომ, ახლა მე უნდა დავამტკიცო, ჩამორჩენის გამოსწორება რომ შემიძლია. ამიტომაც გამიხარდა ასე ძალიან „რეალის“ კარში გატანილი ის გოლი. იცით, დიდი ხნის არყოფნის შემდეგ მოედანზე სათადარიგოთა სკამიდან რომ შედიხარ, ყველაზე მეტად თვითრწმენის დაბრუნება გჭირდება.

— ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში „იუვემ“ გასაოცრად ბევრი 1:0 მოიგო. ეს „ლივერპულთან“ საპასუხო თამაშის წინ იმედს გიძლიერებთ?

— თავს ჩინებულად კი ვგრძნობ, მაგრამ ვერავის ვერანაირ გარანტიას ვერ მივცემ. თუმცა, ისევე, როგორც ნებისმიერ მოთამაშეს, მეც ძალიან მინდა ჩემპიონთა თასის მოგება. სპორტსმენი რაც უფრო ტიტულიანია, მით უკეთესია.

— „ლივერპულთან“ საპასუხო შეხვედრაზე რას გვეტყოდით?

— იმას, რომ ინგლისელებთან თამაში ყოველთვის ძნელია. მართალია, პრემიერლიგის საუკეთესო გუნდები ახლა „ჩელსი“ და „მანჩესტერ იუნიტედი“ არიან, მაგრამ „ლივერპულიც“ რომ ძალიან ძლიერია, რად უნდა ლაპარაკი. თან, „ენფილდზე“ ხომ ნახეთ, მათაც ტიპიური ინგლისური ფეხბურთი შემოგვთავაზეს — სუნთქვის გადაკეტვამდე შეტევა, შეტევა და შეტევა.

— დაგვეთანხმებით, რომ „ლივერპული“ ახალი მწვრთნელის, რაფაელ ბენიტესის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვან რეფორმებსაა შეჭიდებული...

— მართალი გითხრათ, ჩვენს „ენფილდზე“ ჩასვლამდე „ლივერპულის“ თამაში ფაქტობრივად, არც მქონდა ნანახი, ეს ჩემი საქმე არ-ცაა. მე ვიცი, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში სუსტი ძალწინააღმდეგეები არ არიან და თითოეულ მათგანს მთელი ძალ-ღონით უნდა ვითამაშო. აქ, უკვე ნებისმიერი ტიტულიანი და სახელოვანია, შენ კი ყველას უნდა აჯობო.

— „იუვენტუსმა“ სეზონი ახალი მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს ხელმძღვანელობით დაიწყო. რა გავლენა მოახდინა მან თქვენზე?

— კაპელომ მოიტანა ძალიან ფასეული ვერსია იმისა, თუ როგორ უნდა სწორი ფეხბურთის თამაში მან მეტისმეტად ზუსტად იცის, რა უნდა თითოეული ფეხბურთელისგან. თავის სათქმელს იგი ყოველთვის მკაფიოდ ამბობს და ამასთან, გამორჩეულად მშვიდი პიროვნებაა. ფაბიო კაპელოს ხელში მთელი გუნდი მშვიდად არის, არავინ ნერვიულობს. იცით, როდესაც მწვრთნელი მშვიდი ადამიანია, ფეხბურთელებიც მშვიდად იქცევიან, დაძაბული შეხვედრის ყველაზე რთულ ეპიზოდებშიც კი.

— და ბოლოს, რა მიგაჩნიათ ღღევანდელი „იუვენტუსის“ ძლიერ მხარედ?

— მგონი, უპირველეს ყოვლისა ის, რომ თუ გოლი ვერ გაგვაქვს, არ ვღელავთ. ამის მიზეზი კი ისაა, რომ დარწმუნებულები ვართ — ნებისმიერ წამს შეგვიძლია გარდამტეხი ეპიზოდის დატრიალება.

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი

„ვიცით და გვჯერა, რომ მატჩის ბედის ჩვენს სასარგებლოდ შემოტრიალება შეგვიძლია. ფეხბურთი უცნაური და არაპროგნოზირებადი თამაშია. თანაც ორბურთიან ფორას რომ შევეშვათ, 0:3-დანაც კი ძალიან ხშირად შემობრუნებულა ასეთი დონის მატჩები. ვფიქრობ, დროა, „ინტერი" დაბრუნდეს" — განაცხადა ოპტიმისტურად განწყობილმა „ნეროაძეურის" თავკაცმა რობერტო მანჩინიმ.

მარტო ზემოთ მოყვანილი სიტყვებიც საკმარისია იმის დასტურად, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მორიგი „მადონინას" წინ „ინტერს" საბრძოლო განწყობა აქვს. ყოველ შემთხვევაში, რობერტო მანჩინი ყველანაირად ცდილობს თავისი შეგირდების შეგულიანებას.

ინტერელთა მთავარი საფიქრალი და სანერვიულო კვლავ ადრიანოა. შეძლებს თუ არა ბრაზილიელი თამაშს, ჯერ თავად მილანელთა ექიმებმაც არ იციან, თუმც განწყობა იმედიანია. 23 წლის ფორვარდი მუხლის ტკივილს აღარ უჩივის და უკვე სერიოზული დატვირთვითაც ვარჯიშობს. გუნდის მედიკოსები საბოლოო გადაწყვეტილებას სავარაუდოდ, მატჩამდე რამდენიმე წუთით ადრე მიიღებენ.

მანჩინის კვლავ არ ეყოლება ემრე და რეკობა. მოგეხსენებათ, მათ ხანგრძლივი ტრავმები აქვთ.

გარკვეული პრობლემებია „მილანის" ბანაკშიც. კარლო ანჩელოტი დისკვალიფიცირებულ ჯენარო გატუზოს ვერ დაიხმარს. სავარაუდოდ, ვერც ფილიპო ინძაგი ითამაშებს. ხოლო ჩვენებური კახა კალაძისა და გუნდის კაპიტან პაოლო მალდინის მინდორზე გასვლა სათუოა. თუმც ექიმები ირწმუნებიან, რომ მოასწრებენ და პაოლოს მწყობრში ჩაყენებას მოასწრებენ.

გასულ შაბათს, სერია **A**-ში, „მილანისგან" განსხვავებით, მოიგო „ინტერმა" და საკმაოდ კარგადაც ითამაშა — „ბოლონიასთან" მატჩში მანჩინიმ ფორვარდების უკან მარჯვენა ფლანგზე ანდი ვან დერ მეიდე დააყენა, მარცხენაზე კი კილი გონსალესი. არგენტინელი ხუან სებასტიან ვერონი ცენტრში გადაიყვანა, რამაც გაამართლა კიდეც.

0:2-ის მიუხედავად „ინტერი" ანდრეი შევჩენკოს (№7) „მილანს" მაინც ემუქრება

დროა, ინტერი დაბრუნდეს მილანს დეპორტივო ახსოვს

მილანი. „სან სირო". მსაჯი: მარიუს მერეი (გერმანია). 22.45 საათი

ინტერი — მილანი (0:2)

სავარაუდო შემადგენლობები

ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მიხაილოვიჩი, ფავალი, ვან დერ მეიდე, ვერონი, კამბიასო, სტანკოვიჩი, ადრიანო, მარტინსი მწვრთნელი: რობერტო მანჩინი	დიდა, კაფუ, ნესტა, სტამი, მალდინი, ამბროზინი, პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, კრესპო მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

დისკვალიფიცირებულნი

არავინ	ჯენარო გატუზო (1 მატჩი)

ტრავმირებულნი

ალვარო რეკობა, ემრე ბელოზოღლუ	არავინ

ბოლონიელი. არგენტინელი ხუან სებასტიან ვერონი ცენტრში გადაიყვანა, რამაც გაამართლა კიდეც.

რობერტო მანჩინი: „ბოლონიასთან" ორივე ფლანგზე მოიერიშე ფეხბურთელით თამაშმა ნამდვილად პოზიტიური შედეგი გამოიღო და გამოჩნდა, რომ ასეთი ტაქტიკით მინდორზე გასვლა ღირს. რაც შეეხება ვერონს, ალბათ თავადაც ნახეთ, რომ მისი ცენტრალური ნახევარმცველად დაყენება უფრო ამართლებს. თანაც მთავარი ის არ არის, რომ მე მინდა ასე, ეს თავად ხუანის სურვილიცაა. კრისტიან ვიერი სავარაუდოდ კვლავ სათადარიგოთა სკამზე იქნება. თუ ადრიანო თამაშს ვერ შეძლებს, ობაფემი მარტინსის მეწყვილე ისევ ხულიო რიკარდო კრუზი იქნება".

„ინტერის" თავკაცმა საუბარი ისევე ოპტიმისტურად დაასრულა, როგორაც დაიწყო: „მთავარია, საკუთარი თავის გვჯეროდეს და ყველაფერი შესაძლებელია. თანაც რეალურად ჩვენი და „მილანის" ძალები თანაბარია. წინა შეხვედრაში იღბალმა უფრო მათ გაულიმა, ახლა კი ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს".

ბუნებრივია, უფრო თავშეკავებული კომენტარი გაკეთა კარლო ანჩელოტიმ. „მილანის" თავკაცმა განაცხადა, მართალია, ორბურთიანი უპირატესობა გვაქვს, მაგრამ მოდუნება არაფრით არ შეიძლება და მაქსიმალური ყურადღებით უნდა ვითამაშოთო.

„ბრეშასთან" ბოლო წუთებზე გაშვებულმა გოლმა „მილანს" ორი ქულა დააკარგვინა, რამაც ფეხბურთელები ცოტა არ იყოს, შეაშინა.

„იმ შეხვედრის ერთადერთი დადებითი შედეგი ის არის, რომ კიდევ ერთი მცირე გაკვეთილი იქნება ჩვენთვის. მოდუნება არასდროს და არავისთან არ შეიძლება. შეხვედრას ორმაგი სერიოზულობითა და მობილიზებით ვუდგებით" — განაცხადა „როსონერის" ვეტერანმა მცველმა ალესანდრო კოსტაკურტამ.

ალესანდრო ნესტას კომენტარი კი ასეთია: „ცოტათი დაღლილები ვიყავით და მეტოქემ მოდუნება არ გვაპატია. ასეთი რამ ამჯერად არ განმეორდება: რაც შემეხება პირადად მე, ტრავმა თავს ისევ მახსენებს და მსუბუქი ტკივილები მაქვს, თუმც „ინტერთან" საბრძოლველად მზად ვარ".

დისკვალიფიცირებულ ჯენარო გატუზოს სავარაუდოდ, მასიმო ამბროზინი შეცვლის, ხოლო დაცვაში ანჩელოტის მცირე პრობლემები აქვს: მალდინის ადგილზე სერჟინიოს დაყენებამ არ გაამართლა, ჯუზეპე პანკარო კი ფორმაში არ არის. ასე რომ, თუ მილანელთა კაპიტანი მინდორზე გასვლას ვერ შეძლებს, მის ადგილს სავარაუდოდ ჩვენებური კახა კალაძე დაიკავებს. თუმც მცირე ტრავმა ამ უკანასკნელსაც აწუხებს.

ასევე უცნობია, რას გადაწყვეტს ანჩელოტი ანდრეი შევჩენკოს მეწყვილესთან დაკავშირებით. ეგებ ტაქტიკოსმა შედარებით დაცვითი სქემით თამაში ამჯობინოს და არგენტინელი ერნან კრესპოს ნაცვლად მინდორზე კიდევ ერთი შემტევი ნახევარმცველი, მანუელ რუი კოშტა გაიყვანოს. თავად პორტუგალიელის განწყობა მშვენიერია. მას იმედი აქვს, რომ თავის გამოჩენის შანსი კიდევ ერთხელ მიეცემა.

„ბოლო დროს ძირითადად სათადარიგოთა სკამზე ვზივარ და მიხარია, რომ მიუხედავად ამისა, საკმაოდ ნორმალურ ფორმაში ვარ. მართალია, „ბრეშასთან" ცუდად არ მითამაშია და ლაბაზი გოლიც გავიტანე, მაგრამ სამწუხაროდ, ეს მაი დასამარცხებლად არ გვეყო. იმედია, „ინტერის" წინააღმდეგაც მობილზეკს თამაში" — აღნიშნა რუი კოშტამ.

აქვე კახა კალაძის კომენტარიც ვნახოთ: „ძალიან რთული მატჩი იქნება და პირველი შეხვედრის ანგარიში უნდა დავივიწყოთ, თითქოს არც ყოფილა. „დეპორტივოზე" ხშირად საუბრობენ და ამ მატჩს გვახსენებენ, მაგრამ ეს მწარე გაკვეთილი იყო, რომელიც კარგად შევისწავლეთ და გვახსოვს. დარწმუნებული ვარ, ამგვარ შეცდომას აღარ გავიმეორებთ".

ბოლოს ცოტა რამ ისტორიისა და სტატისტიკაზეც ვთქვათ. ევროტურნირების მასშტაბით ეს მხოლოდ მეოთხე „მადონინაა": აქამდე „ინტერმა" მეტოქეს ერთხელაც ვერ მოუგო და მხოლოდ ერთი გოლი გაუტანა. თუ დღეს რობერტო მანჩინის შეგირდები ნაკლის გატეხვას შეძლებენ, ეს ჩემპიონთა ლიგაში „ნეროაძურის" საუბილეო, 50-ე გამარჯვება იქნება.

წლეულს „ინტერმა" ლიგის ხუთივე საშინაო შეხვედრა მოიგო თუ „მილანთან" პირველ მატჩს არ ჩავთვლით, სადაც „შავლურჯები" ფორმალურად სტუმრების რანგში იყვნენ.

„მილანმა" კი ჩემპიონთა ლიგაში, „სან სიროზე" გამართული ბოლო 7 მატჩიდან ყველა მოიგო.

გიორგი კაკაბაძე



კახა კალაძემ თუ ითამაშა, კრისტიან ვიერის მეურვეობა თავიდანვე არ მოუწევს — „ბობო" სკამზე იჯდება

ურთიერთშეხვედრები

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალი

07.05.2003	მილანი 0:0 ინტერი
13.05.2003	ინტერი 1:1 მილანი

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი

06.04.2005	მილანი 2:0 ინტერი

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი

მიხაელ ბალაკის პენალტმა ბავარიელებს ნახევარფინალში გასვლის შანსი დაუტოვა

საიუბილეო
მაურინიუ ოლიმპიასტადიონზე

მიუნხენი. „ოლიმპიასტადიონი". მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი). 22.45 საათი

ბაიერნი — ჩელსი (2:4)

სავარაუდო შემადგენლობები

კანი, სანიოლი, ლუსიო, კოვაჩი, ლიზარაზუ, ჰარგრივსი, ბალაკი, დემიკელისი, შვაინსტაიგერი, მაკაი, პიზარო მწვრთნელი: ფელიქს მაგათი	ჩეხი, ჯონსონი, რ. კარვალიუ, ტერი, გალასი, ტიაგუ, მაკელელე, ლამპარდი, დაფი, ჯ. კოული, გუდიონსენი მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

დისკვალიფიცირებულნი

არავინ	მთავარი მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ (1 მატჩი)

ტრავმირებულნი

ტობიას რაუ, ანდრეას გიორლიცი, ალექსანდრ ციკლერი	არიენ რობენი, უეინ ბრიჯი, პაულუ ფერეირა

ფელიქს მაგათს თავისი გუნდისა სჯერა

მიუნხენის „ბაიერნისთვის" დღევანდელი მატჩი საიუბილეო, მეასე იქნება ჩემპიონთა ლიგაში. ეს თარიღი მასპინძლებს ალბათ თავისებურად შეაგულიანებს, თუმც მოტივაციის ძებნა ბავარიელებს სამდვილად არ სჭირდებათ — ერთი კვირის წინ, „ჩელსისთან" სტუმრად 2:4 წააგეს და ახლა 2:0 მოგებაც კი ჰყოფნით ნახევარფინალში გასასვლელად. „ბაიერნს" აქამდე 19-ჯერ უთამაშია სხვადასხვა ევროთასების მეოთხედფინალში და 12-ჯერ გამარჯვებული გამოსულა.

ფელიქს მაგათს „ჩელსისგან" შარშანდელი წყენაც ახსოვს — ერთი წლის წინ, მისი „შტუტგარტი" ლონდონურ გუნდს მერვედფინალში გადაეყარა და დამარცხდა. „ჩელსიმ" სტუმრად 1:0 იმარჯვა. შინ კი მეტოქეს უეცლოდ დაუზაკდა. ეს კიდევ ერთი სარეკანშო მიზეზია.

„ბაიერნს" სჭირდება ორბურთიანი და მეტი სხვაობით მოგება, რაც ამ სეზონში სამჯერ მოახერხა. ჯგუფურ ეტაპზე მიუნხენში „მაკაბის" 5:0, „აიაქსს" კი 4:0 სძლია, ხოლო მერვედფინალში „არსენალს" — 3:1.

„ჩელსი" ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ევროთასებიდან იმიტომ გავარდა, რომ გასვლით მატჩებში ორი ან მეტი გოლის სხვაობით მარცხდებოდა. ლონდონელები თავის მხრივ ამ ტრადიციის დამსხვრევას შეეცდებიან.

მოკლედ, ახლა რიცხვების რახარუხს მოვრჩეთ და მწვრთნელ-ფეხბურთელების მატჩამდელი ნალაქლაქეი წავიკითხოთ.

ლონდონურ მატჩს ჟოზე მაურინიუ ვერ დაესწრო, რადგან ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს მოსახდელი. პორტუგალიელი „სტემფორდ ბრიჯზე" არ ყოფილა, სადღაც მშვიდ გარემოში „ჩაუჯდა" ტელევიზორს. მაურინიუ ამჯერად ცხადია, ინგლისში ვერ გაჩერდებოდა. იგი გუნდს მიუნხენში გაჰყვა და წასვლამდე, როგორც წესი, ენად გაიკრიფა: „გადავწყვიტე, რომ სტადიონზე უნდა ვიყო. შეიძლება ტრიბუნაზე ან სულაც ვიპ-ლოჟაში აღმოვჩნდე. გულსაკლავია ის, რომ ჩვეულ ადგილს ვერ დავიკავებ სათადარიგოებში. ეს არც ისე ძნელად გადასატანი ყოფილა, როგორც წარმოვდგინე, მაგრამ სერიოზული გამოცდაა. საბედნიეროდ, მხოლოდ ერთი მატჩიღა დამრჩა. „ბაიერნთან" ურთულესი ბრძოლა გველის. ადრე გაგვიტანენ თუ გვიან, მაინც მძიმე შეხვედრა გამოვა. კარგია, როცა გუნდთან ახლოს ხარ და მატჩის მსვლელობაში მონაწილეობ, თუმც ეს ბევრს არაფერს წყვეტს. პირველი თამაშის შემდეგ არ მითქვამს, რომ 4:2 კარგია ან ცუდი. ყველაფერი საპასუხო შეხვედრაში გაირკვევა. მაგალითად, ლიგის თასის ნახევარფინალში „მანჩესტერ იუნაიტედთან" საშინაო 0:0-ის შემდეგ სტუმრად მოვიგეთ. მართალია, გასულ შაბათს „ბირმინგემს" ვერ ვძლიეთ, მაგრამ უნდა გითვალისწინოთ — ფეხბურთელები იღლებიან. ექვს დღეში სამი მატჩის თამაში ძნელია. ყველას სურდა „ბირმინგემთან" დასვენება, მაგრამ ყველას ხომ ვერ დავასვენებდი?"

აქვე რამდენიმე წინადადებით ჟოზე მაურინიუს დისკვალიფიკაციის ამბავს დავუბრუნდეთ. უეფას ჩინოვნიკ პასკალ ფრატელიას, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის მატჩებისას სტადიონებზე წესრიგის უზრუნველყოფა ევალება, უთქვამს, ანდერს ფრისკმა გვითხრა, ფრანკ რაიკარდი ჩემთან საუბარს ნამდვილად ცდილობდა. გასახდელისკენ მიმავალი გვირაბის შესასვლელში რაიკარდმა ორიოდ სიტყვა ნაღდად უთხრა რაღაც ფრისკს, მაგრამ მსაჯმა უპასუხა, აქ სალაპარაკოდ, არც დრია და არც ადგილია.

ფრატელიას ნათქვამმა უეფას ბრესმდგომი უფლებამ გადლარდი გაიგვერეა: „ძველ ამბავს რაღაინდა ჭამენ, აწი ადარაფერი შეიცვლება. ჩელსიც" დაუარიმენულია და ეთხე მაურინიუც".

მიუნხენში „ჩელსი" სრული შემადგენლობით ჩავიდა ფეფეა, ვინც „ბაიერნთან" ითამაშა. ჯანტეა, ვუნდის ისლანდიელი თავდამსხმელი ეიდურ გუდიონსენი კი ამბობს: „ვიცი, რომ „ბაიერნი" ეკუთვნის ევროპის უდიდესი კლუბია, მაგრამ ბრიჯელ შეხვედრაში სვენ მათ ვაკობეთ და მეტი გოლის გატანაც შეგვეძლო. საშინაოს, „ლიმპიასტადიონზე" ძნიმე თამაში იქნება, მაგრამ ვერ ვხედავ მიზეზს, თუ რატომ ვერ უნდა ვაკიდეთ ნახევარფინალში?"

და, რა ხდება ამ დროს მიუნხენურ გრანდში? ბავარიელებმა ბუნდესლიგის ბოლო ტურში შაბათის, მიუნხენელადბახის „ბორუსიას" 2:1 მოუგეს. ამ მატჩში ტრავმამიშეშებული რიო მაკი გამოჩნდა, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის საამსეზონო კოთამაშეაში შვიდი გოლი გაუტანია. თითქმის სახელოზე გამოკაბინრიელდა კლაუდიო პიზარიც და დღეს, ალბათ, ორივე ძირითად შემადგენლობაში იქნება. ისიც ვეხსომებათ, ერთი კვირის წინ უფორვარდობა „ბაიერნს" აშკარად დაეტყო. ამჯერად კი, ეს დანაკლისი შეკვსებულია.

„ჩვენ შინ რამდენიმე გუნდი ორბურთიანი სხვაობით უკვე დავამარცხეთ — თქვა ფელიქს მაგათმა — გვჯერა, რომ იგივეს კიდევ ერთხელ მოვახერხებთ. ბუნდესლიგაში, მდევარ „შალკეს" სამი ქულით გავუსწარით და ამ მხრივ დავშშვიდდით, ხასიათი გამოვიკეთეთ და ახლა „ჩელსისთან" სათამაშოდ მზად ვართ".

ვაჟა ხუციშვილი

ურთიერთშეხვედრები

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი

06.04.2005 ---------- ---------- ჩელსი 4:2 ბაიერნი

ექვსი შვიდის წინ

ლუშემბურგომ ოუენი გარისკა, ეტოომ მუხლი

სამუელ ეტოო „სანტიაგო ბერნაბეუდან“ პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს

— **ბედნიერი ვარ**, „ბარსელონა“ 4:2 დავამარცხეთ და ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსი შევინარჩუნეთ — ხარობდა გუშინწინდელი „ელ კლასიკოს“ დასრულების შემდეგ „რეალის“ ბრაზილიელი მწვრთნელი ვანდერლეი ლუშემბურგო. იმაზე ლაპარაკი, თუ რას წარმოადგენს „ელ კლასიკოდ“ მონათლული ევროპის ერთ-ერთი უდრამატულესი დერბი, ზედმეტად მიგვაჩნია, გუშინწინდელი „რეალ“ — „ბარსელონას“ მატჩისშემდგომი კომენტარებისა და ესპანური პრესის მიმოხილვის გაცნობა კი, ვფიქრობთ, უინტერესო არ უნდა იყოს.

ვანდერლეი ლუშემბურგოთი დავიწყეთ და ბარემ მისით გავაგრძელოთ. ბრაზილიელმა მწვრთნელმა შემადგენლობის შერჩევისას, ერთი შეხედვით, გარისკა, როცა სასტარტოში ლუიშ ფიგუს ნაცვლად მაიკლ ოუენი დააყენა. პორტუგალიელი ლუშემბურგოს არჩევანმა გაანაწყენა, არადა, როგორც გამოჩნდა, არჩევანმა ანუ ოუენმა „რეალის“ მწვრთნელს გაუმართლა — ინგლისელმა ფორვარდმა „ბარსას“ ისედაც მოყანყალებულ დაცვას ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა და გოლიც მიითვალა.

„ფიგუს საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ის დიდი ფეხბურთელია, მაგრამ ამ თამაშისთვის ოუენი ვამჯობინე. მაიკლი ვარჯიშებზე უკეთ გამოიყურებოდა“ — თქვა ნამატჩევს ლუშემბურგომ.

ნამატჩევს სიტყვაუხვობდა ოუენიც: „დიდი მადლობა მინდა გუთხრა მწვრთნელს, ძირითადში რომ მანდო ადგილი. „ბარსას“ კარში გატანილი გოლი ჩემს კარიერაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. მთავარი კი ისაა, რომ ახლა კატალონიელებს მხოლოდ ექვსი ქულით ჩამოვრჩებით და ჩემპიონობისთვის ბრძოლის მეტი შანსი გვაქვს“. „ელ კლასიკოს“ გმირებად კი ესპანურმა მედიამ მადრიდელთა მეკარე იკერ კასილიასი და ბრაზილიელი მეგავარსკვლავი რონალდო მიიჩნია. რონალდოს ასეთი თავგამოდება, კარგა ხანია, არ გვინახავსო — წერს მადრიდული **AS**-ი, ხოლო კასილიასის მართლაც საოცარმა ნახტომებმა „რეალი“, სულ მცირე, სამჯერ იხსნა აშკარა გოლისგან.

ცალკე უნდა ითქვას რობერტო კარლოსზეც, რომელსაც კვირას 32 წელი შეუსრულდა. ბევრ სპრინტერს შეშურდებოდა ბრაზილიელის სისწრაფე იმ ეპიზოდისას, როცა პირველი ტაიმის მიწურულს მეტეორივით ჩაირბინა მარცხენა ფლანგზე და რაულს საგოლე პასი მიართვა.

ცხადია, ნირწამხდარნი იყვნენ ბარსელონელები, არადა, ფრანკ რაიკარდის შეგირდებს ურიგოდ სულაც არ უთამაშიათ. კატალონიელთა მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი უკვე მერამდენედ დაცვის შეცდომებზე წუწუნებდა: „რეალმა“ ჩვენი დაცვის შეცდომების წყალობით მოიგო, მეკარემაც ერთ გვიშველა, უამრავი საგოლე მომენტიც ქარს გავატანეთ“.

სამ ქულიანად ერთად „ბარსამ“ დაკარგა მისი საუკეთესო ფორვარდი, კამერუნელი სამუელ ეტოო, რომელმაც მეორე ტაიმში მუხლი დაიზიანა და შესაცვლელი შეიქნა. ექიმთა დიაგნოზით, ეტოო გუნდს, სულ მცირე, ათი დღით გამოაკლდება.

ესპანურმა პრესამ ამ ტრავმის გარდა, ის ამბავიც გამოარჩია, რომ ეტოომ კვლავ გაუტანა „რეალს“. გავიხსენოთ, რომ მადრიდელთაგან ამ რამდენიმე წლის წინ დაწუნებული და „მალიორკაში“ განათხოვრებული კამერუნელი „სამეფო გუნდს“ თითქმის ყოველ მატჩში უოხრებდა კარს.

ეტოოს გარეშე დარჩენილ „ბარსას“ კი ალბათ ძალიან გაუჭირდება. მადრიდულმა 4:2-მა ხომ საჩემპიონო ბრძოლას დიდი ინტრიგა შემატა. შეგახსენებთ, რომ პრიმერას დასრულებამდე 7 ტურია დარჩენილი. ქვემოთ, „ბარსელონას“ და „რეალის“ მატჩთა განრიგს გადავხედოთ და კიდევ ერთხელ შეენიშნოთ, რომ ახლა კასტილიელები კატალონიელებს მხოლოდ ექვსი ქულით ჩამორჩებიან.

სოსო კოტორეიშვილი

32-ე ტური: 17 აპრილი	
ბარსელონა : ხეტაფე	ლევანტე : რეალი
33-ე ტური: 24 აპრილი	
მალაგა : ბარსელონა	რეალი : ვილიარეალი
34-ე ტური: 1 მაისი	
ბარსელონა : ალბასეტე	სოსიედადი : რეალი
35-ე ტური: 8 მაისი	
ვალენსია : ბარსელონა	რეალი : რასინგი
36-ე ტური: 15 მაისი	
ლევანტე : ბარსელონა	სევილია : რეალი
37-ე ტური: 22 მაისი	
ბარსელონა : ვილიარეალი	რეალი : ატლეტიკო
38-ე ტური: 29 მაისი	
სოსიედადი : ბარსელონა	სარაგოსა : რეალი

ფეხბურთის რუკასთან

იტალიური პრესის ცნობით, „ტერნანას“ ახალგაზრდა ვარსკვლავ ლუის ანტონიო ხიმენესს დამდეგ ზაფხულს „იუვენტუსი“ იყიდის, რათა რომელი ანტონიო კასანოს სატრანსფერო კომბინაციაში გამოიყენოს.

ინგლისური „არსენალის“ ფორვარდმა ტიერი ანრიმ განაცხადა, კლუბის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირობა ძალიან მინდა და ამ მიზანს მალე უნდა მივაღწიო. შეგახსენებთ, რომ ანრის მხოლოდ 5 გოლის გატანა სჭირდება, რათა ლეგენდარულ თავდამსხმელ იან რაიტს (185 გოლი) გაუსწროს.

ესპანური „ვალენსიას“ მილან ბაროშის შეძენა გადაუწყვეტია. „დიდი იმედი გვაქვს, რომ ბაროშის ხელში ჩაგდებას შევძლებთ, იგი ჩვენი მთავარი სამიზნეა“ — განაცხადა „ვალენსიას“ პრეზიდენტმა ხუან სოლერმა.

ინგლისური „არსენალი“ მოსკოვის „ლოკომოტივის“ შემტევ ნახევარმცველ მარატ იზმაილოვით დაინტერესებულა. ჭორების თანახმად, ლონდონელები 4 მილიონ გირვანქასაც ამზადებენ. გარდა ამისა, „მეთოფეები“ „ბრეშას“ ახალგაზრდა ფორვარდ ანდრეა კარაჩოლოსაც აკვირდებიან.

ინგლისური „ბლეკბერნის“ უელსელ თავკაც მარკ ჰიუზს სურს, თანამემამულე კრეიგ ბელამი თავის გუნდში იხილოს. „როვერსი“ მზად არის, მასში 5 მილიონი გირვანქა გადაიხადოს, თუმც ბელამის შეძენა მის ამჟამინდელ კლუბ გლაზგოს „სელტიკსაც“ გადაუწყვეტია.

იტალიური „რომა“ თანაქალაქელი „ლაციოს“ ვეტერანი მეკარის, ანჯელო პერუცის შეძენაზე ფიქრობს. შეიძლება, სეზონის ბოლოს „გლადიატორთა“ რიგები ივან პელიცოლიმ და ანდრეა კურჩიმ დატოვონ, დედაქალაქელთა უფროსობა კი უკვე ახალ გოლკიპერებს არჩევს.

ინგლისურ „ბოლტონს“ მაიკლ ოუენის შეძენა განუზრახავს. „ეს ჩვენი მთავარი მიზანი იქნება“ — დასძინა „ბოლტონის“ თავკაცმა სემ ალარდაისმა.

ფრანგული „ოსერის“ ნახევარმცველ ბონავენტურე კალუს პრემიერლიგის კლუბებმა დაადგეს თვალი. როგორც ამბობენ, მისი შეძენა ყველაზე მეტად „ტოტენჰემს“ უნდა.

ინგლისურ „ბირმინგემს“ სკოტ პარკერის გადაბირება უნდა. „ჩვენ ქველანაირად შევეცდებით სკოტის შეძენას. უახლოეს მომავალში „ჩელსიისან“ მოლაპარაკებას დავიწყებთ“ — განაცხადა „ბირმინგემის“ წარმომადგენელმა. ის, რომ 24 წლის ფეხბურთელი სეზონის ბოლოს „ჩელსის“ დატოვებს, თითქმის გადაწყვეტილი ამბავია.

არგენტინა

კლაუსურა. VIII ტური

არსენალი — ესტუდიანტესი 0:0; კილმესი — ინსტიტუტო 1:2; ხიმნასია — ველესი 2:4; ლანუსი — ბანფილდი 2:4; ალმაგრო — არგ. ხუნიორსი 2:0; ოლდ ბოიზი — რივერ პლეიტი 4:2; რასინგი — ინდეპენდიენტე 3:1; ბოკა ხუნიორსი — როსარიო 4:1; ოლიმპო — ურაკანი 3:1; სან ლორენსო — კოლონი 0:0

როსარიო	8	5	2	1	15:10	17
რასინგი	8	5	1	2	11:6	16
რივერ პლეიტი	8	5	1	2	16:12	16
ესტუდიანტესი	8	4	3	1	12:7	15
ველესი	8	4	3	1	11:6	15
ოლდ ბოიზი	8	3	4	1	12:8	13
კილმესი	8	4	1	3	9:5	13
ბოკა ხუნიორსი	8	4	1	3	12:11	13
არსენალი	8	3	3	2	9:8	12
კოლონი	8	3	2	3	15:10	11
ოლიმპო	8	3	2	3	10:9	11
ლანუსი	8	3	2	3	15:16	11
ბანფილდი	8	3	1	4	10:8	10
ინდეპენდიენტე	8	2	3	3	11:11	9
არგ. ხუნიორსი	8	2	3	3	11:12	9
ინსტიტუტო	8	3	0	5	11:16	9
ხიმნასია	8	2	0	6	8:15	6
ალმაგრო	8	1	3	4	8:18	6
სან ლორენსო	8	1	2	5	9:17	5
ურაკანი	8	0	3	5	6:16	3

დანია

I დივიზიონი. XX ტური

ბრიონსპიოი — ბ-93 კოპენჰაგენი 2:2; დალუმი — იოლსტიკე 1:0; სკიოლდი — ჰელერუპი 1:3; აკადემისკი — ჰორსენსი 0:1; ფრემადი — სიონდერიულანდი 1:3; ნესტვედი — ფრემი 0:3; ნიკიობინგი — კიოგე 1:2; ვაილე — ფრედერისია 4:3

შპრაინა

უმაღლესი ლიგა. XXI ტური

არსენალი — ვოლინი 1:2; მეტალისტი — შახტარი 0:1; მეტალურგი (ზ) — ილიჩევეცი 0:2; ვორსკლა — ჩერნომორეცი 0:0; კრივბასი — ტავრია 0:2; ბორისფენი — დინამო 0:0; ობოლონი — ზაკარპატია 0:0; მეტალურგი (დ) — დნიპრო 2:1

შახტარი	20	18	0	2	41:11	54
დინამო	21	15	4	2	41:10	49
მეტალურგი (დ)	21	12	4	5	29:22	40
ვოლინი	21	11	4	6	29:23	37
ჩერნომორეცი	21	10	4	7	21:15	34
დნიპრო	20	9	6	5	28:23	33
ილიჩევეცი	21	7	8	6	29:25	29
ტავრია	21	7	5	9	19:19	26
მეტალისტი	21	7	4	10	20:27	25
არსენალი	21	5	7	9	19:26	22
კრივბასი	21	5	7	9	16:26	22
მეტალურგი (ზ)	20	4	8	8	14:23	20
ვორსკლა	21	5	5	11	10:25	20
ბორისფენი	21	2	9	10	12:22	15
ზაკარპატია	20	2	8	10	11:22	14
ობოლონი	21	2	7	12	11:31	13

ავსტრია

I დივიზიონი. XXVII ტური

აუსტრია (ლ) — გრატკორნი 0:0; უნტერზიბენბრიუნი — კაპფენბერგი 0:3; ლეობენი — ლინცერი 0:0; ვიორგლი — ალტახი 0:0; რიდი — კერნტენი 1:1

ნორვეგია

I დივიზიონი. I ტური

ტონსბერგი — სკეიდი 1:2; ფოლო — ჰიონეფოსი 0:0; მოსი — ლოვ ჰამი 0:0; სოგნდალი — კონგსვინგერი 3:1; სტაბეკი — ბრინი 2:2; სტრიომსგოდსეტი — სანდეფიორდი 1:1; ალტა — ჰორს გრენლანდი 3:3. *ჰიოდი — მანდალი გადაიდო*

შვეიცარია

ჩელენჯლიგა. XXIV ტური

ბადენი — ივერდონი 1:4; ვოლენი — ლუგანო 2:0; ბელინცონა — ვადუცი 2:2; ბოლმი — მეირინი 2:2; ვილი — ლუცერნი 6:1; იუვენტუსი — კრინსი 0:2; სიონი — კიასო 4:3. *ბულე — კონფორდია გადაიდო*

სლოვაკეთი

I ლიგა. XXII ტური

ინტერი — რუჟომბეროკი 2:1; ბანსკა ბისტრიცა — სობოტა 3:2; ტრნავა — ტრენჩინი 1:2; ჟილინა — პუხოვი 0:1; პეტრჟალკა — დუბნიცა 1:0

ხორვატია

ნაციონალ ლიგა
პლეი ოფი. II ტური

ზაგრები — ინტერი 3:3; ჰაიდუკი — რიეკა 1:1; ვარტექსი — სლავენი 2:0

პლეი აუტი
II ტური

დინამო — კამენი 0:0; მედიმურიე — პულა 1:0; ზადარი — ოსიეკი 2:0

აშშ

მეიჯორ სოქერ ლიგა. II ტური

სან ხოსე — ჩივასი 3:3; ვაშინგტონი — ჩიკაგო 1:1; ნიუ ინგლანდი — კოლამბუსი 3:0; კოლორადო — დალასი 0:0; ლოს ანჯელესი — სოლტ ლეიკი 3:1

მექსიკა

პლაუსურა. XIV ტური

ტოლუკა — დორადოსი 1:2; ვერაკრუსი — ატლასი 0:0; გვადალახარა — ხაგუარესი 0:2; ნეკაქსა — ტეკოსი 1:0; უნამი — პუებლა 1:0; ატლანტე — სანტოსი 3:0; მორელია — მონტერეი 1:2; პაჩუკა — ამერიკა 2:2; ტიგრესი — კრუზ ასული 0:3

რა საჭიროა კუკუდამალობანა?

რესტორანში საქმე გაარჩიეს

ნელსონ აკოსტას „კობრელოას“ ფეხბურთელები აბუჩად იგდებენ

ჩილეს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ნელსონ აკოსტა „კობრელოაში“ უკმაყოფილოა და პოსტის დატოვებას აპირებს.

„ძალიან იმედგაცრუებული ვარ იმ სიძნელეების გამო, რაც „კობრელოაში“ შემხვდა. კონტრაქტით აქ კიდევ ორი წელი მიწევს ყოფნა, თუმცა ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, უფლება მაქვს, კლუბში დარჩენა-არდარჩენის საკითხი ყოველ ექვს თვეში ერთხელ გადავსინჯო. თუ საქმეები არ გამოსწორდა, იძულებული ვიქნები, „კობრელოადან“ წავიდე“ — განაცხადა სამხრეთამერიკელმა სპეციალისტმა ადგილობრივ მედიასთან საუბარში.

როგორც გაირკვა, ნელსონ აკოსტამ „სიძნელეებში“ შეგირდთა უპატივცემულობა იგულისხმა — მოთამაშეები გამოცდილ მწვრთნელს თურმე არად აგდებენ და მისი დავალებანი საფეხბურთო თუ დისციპლინის ამბავში ოდენ წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი.

სენიორ აკოსტა შეგირდთა დაუმორჩილებლობაზე უკვე მერამდენედ ჩივის და... კლუბის პრეზიდენტმა ხერარდო მელიამაც იმედგაცრუებული დამრიგებელი ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში მიიწვია, საქმის გამარჩევად.

„საერთოდ, ავადმყოფობას რაც უფრო დამალავ, მით უარესია, რადგან ეს კუკუდამალობანა შესაძლოა, სიცოცხლის ფასად დაგიჯდეს. ნელსონ აკოსტას ყველანაირად გამართლებ. მას გუნდზე გული მართლაც შესტკივა და პრობლემებზეც სწორედ ამიტომ ლაპარაკობს. ვიცი, რომ „კობრელოაში“ ზოგიერთი ფეხბურთელი ცუდად იქცევა, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. პირადად მე ნელსონის კლუბიდან წასვლის წინააღმდეგი ვარ“ — განაცხადა პრეზიდენტმა მწვრთნელთან შეხვედრის შემდეგ.

ამბობენ, 36 წლის გუსტავო გრონდონას (№7) თამაში კიდევ შეუძლიაო

ეს თუ გვიშველი გუსტავო

დაბრუნდი, არ წააგებ

პერუს „უნივერსიტარიოს“ თავკაცობა გუნდის ყოფილ ფეხბურთელს, არგენტინელ ვეტერან გუსტავო გრონდონას სთხოვს, უკან დაბრუნდეს და ძველებურად იბურთაოს — ამ ამბავს გაზეთი „ლიბერო“ გვამცნობს.

„უნივერსიტარიოს“ ახლა სწორედ გუსტავოს დარი გამოცდილი, შემტევი ნახევარმცველი სჭირდება. იგი ფიზიკურად ძლიან ძლიერია და ბურთითაც სასწაულებს სჩადის. ჩვენი კლუბის ინჩასები ფეხბურთს სწორედ ასეთი მოთამაშეების გამო აღძრთებენ. მეუბნებიან, თითქოს გრონდონა ბებერია და უმაღლეს დონეზე ბურთაობას ვეღარ მოახერხებს. ეს მტკნარი სიცრუეა. თუ არგენტინელი ჩემს მოწვევაზე დათანხმდა, „უნივერსიტარიოს“ ფანობა მისი დიდი ნიჭის მომსწრე კიდევ ერთხელ გახდება“ — თქვა „უნივერსიტარიოს“ პრეზიდენტმა ალფრედო გონსალესმა 36 წლის ფეხბურთელზე.

გუსტავო გრონდონა ახლა აქტიურ სპორტს ჩამოცილებულია და მწვანე მინდორს იშვიათად, განსაკუთრებულ შემთხვევებში თუ მიაკითხავს. მსგავსი შემთხვევა რამდენიმე დღის წინ მოხდა, როცა „უნივერსიტარიომ“ ხოსე კარანსას საბენეფისო მატჩი გამართა. იქ გუსტავომ ჩინებულად იბურთავა და პერუელია თავკაცსაც მისი გუნდში მიწვევა ამანაც გადაწყვეტინა. „უნივერსიტარიოს“ კი წარსულში ცნობილი არგენტინელი, მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონი ხოსე ბასუალდო წვრთნის.

„ჯერ ოჯახს მოვეთათბირები და კლუბში დაბრუნების საკითხს მერე გადავწყვეტ“ — ამბობს გუსტავო გრონდონა, რომელსაც თავის დროზე არგენტინულ კლუბებში — „ინდეპენდიენტში“, „არსენალში“, „ურაკანსა“ და ესპანურ „დეპორტივოში“ უთამაშია.

ლმერთო, ჰფარვიდე მონტოიას

კოლუმბიელი მწვრთნელი სიკვდილს ებრძვის

ლუის ფერნანდო მონტოიას ჯანმრთელობა გაუარესდა

ლუის ფერნანდო მონტოია, კოლუმბიური „ონსე კალდასის“ ყოფილი მწვრთნელი, კვლავაც მძიმე მდგომარეობაშია.

47 წლის სპეციალისტს შესაძლოა, კიდევ ერთი ოპერაცია დასჭირდეს. შეგახსენებთ, რომ მონტოია, გასული წლის 22 დეკემბერს ბოროტმოქმედებმა საკუთარ სახლთან მძიმედ დაჭრეს და სიკვდილს ძლივს გადაურჩა — ყელზე და ფილტვებზე ქირურგიული ჩარევის შემდეგ მონტოია მცირე ხნით კი მომჯობინდა და მედიასაც განუცხადა, ღვთისა და ექიმთა შემწეობით დიდ ფეხბურთს მალე დავუბრუნდებიო, მაგრამ კოლუმბიურ გაზეთ „დეპორტივოს“ ბოლო ცნობით, მისი ჯანმრთელობა გაუარესებულია და დიდ ფეხბურთში დაბრუნებას ვინღა ჩივის, ხეირიანად ლაპარაკს და სუნთქვასაც ვერ ახერხებს.

ეს ცუდი ამბავი, ცხადია, არც ფიფას გამორჩენია და „ონსე კალდასის“ ექსდამრიგებლის ფეხზე დასაყენებლად 55 ათასი დოლარი გადარიცხა კლუბის ანგარიშზე — ოპერაციას ჩვენ დავაფინანსებთო.

„რაც ჩვენზეა დამოკიდებული, ლუის ფერნანდო მონტოიას ყველაფერში დავეხმარებით“ — განაცხადა გუშინ ფიფას ოფიციალურმა წარმომადგენელმა კოლუმბიელ ჟურნალისტებთან საუბრისას.

ლუის ფერნანდო მონტოიამ „ონსე კალდასს“ გასულ წელს კოპა ლიბერტადორესი მოაგებინა, საკონტინენტთაშორისო თასზე პორტუგალიურ „პორტუსთან“ დამარცხების მერე კი გუნდი დატოვა.

„ფერნანდო ახლა თავს ძლიან ცუდად გრძნობს. პირველი ოპერაციის შემდეგ თითქოს უკეთ იყო, თუმცა დღეს საშინლად წვალობს და ჩვენც მხოლოდ ღმერთის იმედად ვართ — უფალმა იგი ერთხელ დაგვიბრუნა და სასიკვდილოდ არც ახლა გაიმეტებს“ — უთხრა მედიას მონტოიას ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა.

ვიტი ასპროცენტიანია

არგენტინული კლაუსურას ლიდერის, „როსარიო სენტრალის“ ახალგაზრდა თავდამსხმელი ვიტი, მომავალი სეზონიდან სავარაუდოდ, მადრიდის „ატლეტიკოში“ ითამაშებსო, გვამცნობენ იქაური ჟურნალისტები.

მადრიდული კლუბის სპორტული დირექტორი ტონი მუნიოსი ახლა სწორედ არგენტინაში იმყოფება და სასურველ ფეხბურთელს გულისყურით აკვირდება. მაგრამ, ემისრის სტუმრობამ დიდი შფოთი გამოიწვია.

საქმე ის გახლავთ, რომ „როსარიოს“, ნიჭიერ მოიერიშესთან განშორება არ სურს და კლუბის პრეზიდენტმა პაბლო სკარაბინომაც გაბრაზებულმა თქვა, სენიორ მუნიოსი ტყუილად გვეწვია, ვიტის გაყიდვას არ ვაპირებთ და მათ უჯობთ, სხვა ვინმე გამონახონო.

ვიტი კი „ატლეტიკოს“ დაინტერესებამ პრეზიდენტისგან განსხვავებით ძალიან მოხიბლა, მაგრამ...

„ცხადია, მსიამოვნებს, როცა ისეთი პრესტიჟული გუნდი, როგორიც „ატლეტიკოა“, შენით დაინტერესდება. წინასწარ ვერაფერს გეტყვით, თუმცა „როსარიოს“ ინჩასობა მშვიდად იყოს, კლუბზე გულის აცრუებას არ ვაპირებ და სანამ აქ ვიქნები, ისევ ისეთ „ასპროცენტიან“ ვიტის იხილავს, როგორც ადრე ვიყავი“ — განაცხადა ფეხბურთელმა.

„როსარიო სენტრალი“ საამსეზონო კლაუსურას გითხარით, ჯერჯერობით ლიდერობს, ხოლო ვიტის ანგარიშზე უკვე 5 გატანილი ბურთია. ისე კი ამბობენ, რომ „როსარიოს“, სხვა ბევრ არგენტინულ კლუბთა მსგავსად, უზარმაზარი ვალი (38 მილიონი პესო) აქვს და სენიორ პაბლო სკარაბინოს ღაღადი, ვიტის ვერ გავყიდიო, ეგებ სავაჭრო ფანდსაც წარმოადგენდეს.

სარგებელი: კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა ქვეყნის ფსონიებს გაეცნოგით აღგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		12 აპრილი						
22:45	8	ნოტინგემი-შეფილდი	2.8	3.4	2.2	1.53	1.23	1.33
		ინგლისი. I ლიგა						
		12 აპრილი						
22:45	21	ბრენტფორდი-ტრანმერი	2.25	3.3	2.75	1.33	1.23	1.5
22:45	22	სტოკპორტი-ბლეკპული	2.7	3.3	2.3	1.48	1.24	1.35
		13 აპრილი						
22:45	23	სუინდონი-ბრისტოლი	2.25	3.3	2.75	1.33	1.23	1.5
		ინგლისი. კონფერენსი						
		12 აპრილი						
22:45	48	ექსეტერი-დაგ ენდ რედი	1.85	3.4	3.5	1.19	1.21	1.72
22:45	49	ფარნბორო-გრეიესენდი	2.9	3.3	2.1	1.54	1.21	1.28
22:45	50	ფორესტ გრინი-ჰერეფორდი	3.5	3.4	1.85	1.72	1.21	1.19
22:45	51	მორეკომბი-ბარტონი	1.45	3.6	6.5	1.03	1.18	2.31
22:45	52	კარლაილი-იორკი	1.5	3.5	6.0	1.04	1.2	2.21
22:45	53	ნორთვიჩი-ლეი	1.45	3.8	6.5	1.04	1.18	2.39
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		12 აპრილი						
22:45	65	ინვერნესი-მოზერუელი	2.3	3.2	2.65	1.33	1.23	1.44
22:45	66	რეინჯერსი-დანდი იუნ.	1.1	7.0	13.0	1.0	1.01	4.55
22:45	67	რეინჯერსი-დანდი იუნ. 0:1	1.3	5.5	4.65			
		13 აპრილი						
22:45	68	ჰართსი-ჰიბერნიანი	2.25	3.2	2.7	1.32	1.22	1.46
22:45	69	ლივინგსტონი-სელტიკი	10.0	5.5	1.2	3.54	1.07	1.0
		გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)						
		12 აპრილი						
21:30	114	ბრაუნშვაიგი-მიუნსტერი	1.45	4.0	5.3	1.06	1.13	2.27
21:30	115	ოსნაბრიუკი-პადერბორნი	2.3	3.1	2.7	1.32	1.24	1.44
		13 აპრილი						
19:00	116	ჰერტა(მ)-არმინია(მ)	1.65	3.7	4.0	1.14	1.16	1.92
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		14 აპრილი						
21:30	145	ციურიხი-სტ.გალენი	1.6	3.5	5.0	1.09	1.21	2.05
21:30	146	იანგ ბოიზი-თუნი	2.2	3.2	2.9	1.3	1.25	1.52
		შვეიცარია. ჩელენჯლიგა						
		12 აპრილი						
21:30	554	ბულე-კონკორდია	2.3	3.2	2.7	1.33	1.24	1.46
		ბელგია. II დივიზიონი						
		13 აპრილი						
22:00	263	ეუპენი-სტ.ჟილი	1.9	3.1	3.5	1.17	1.23	1.64
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		13 აპრილი						
20:00	273	დენ ბოსხი-ფეიენოორდი	9.0	5.3	1.25	3.33	1.09	1.01
		პოლონეთი						
		13 აპრილი						
20:00	555	ოდრა-კრაკოვია	2.3	3.1	2.7	1.32	1.24	1.44
		სლოვაკეთი						
		12 აპრილი						
17:30	372	სობოტა-ტრნავა	2.3	3.1	2.8	1.32	1.26	1.47
17:30	373	რუჟომბეროკი-ჟილინა	2.3	3.0	2.75	1.3	1.25	1.43
		13 აპრილი						
19:30	374	ტრენჩინი-ინტერი	1.7	3.2	4.3	1.11	1.21	1.83
17:30	375	დუბნიცა-ბ.ბისტრიცა	2.05	3.0	3.25	1.21	1.25	1.55
17:30	376	პუხოვი-პეტრჟალკა	2.3	3.0	2.75	1.3	1.25	1.43
		უნგრეთი						
		13 აპრილი						
18:30	388	ნირედიჰაზა-ფერენცვაროში	4.0	3.4	1.7	1.83	1.19	1.13
20:00	389	სოპრონი-უიპეშტი	2.6	3.0	2.4	1.39	1.24	1.33
20:00	390	ვაშაში-ტატაბანია	1.65	3.4	4.3	1.11	1.19	1.89
20:00	391	ვიდეოტონი-ზალაეგერსეგი	1.9	3.2	3.4	1.19	1.21	1.64
20:00	392	ბეკეშჩაბა-ეტო	3.3	3.2	1.95	1.62	1.22	1.21
20:00	393	დიოშდიორი-ჰონვედი	2.3	3.0	2.75	1.3	1.25	1.43
20:00	394	კაპოშვარი-დებრეცენი	3.25	3.2	1.95	1.61	1.21	1.21
20:00	395	მტკ-პეჩი	1.4	3.8	6.5	1.02	1.15	2.39
		დანია. სუპერლიგა						
		13 აპრილი						
20:00	404	რანდერსი-ნორდსიელანდი	2.25	3.1	2.9	1.3	1.26	1.49
		დანია. I დივიზიონი						
		13 აპრილი						
20:30	411	ბრიონსჰიოი-აკადემისკი	2.6	3.2	2.3	1.43	1.22	1.33
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		13 აპრილი						
20:00	556	ჰიოდი-მანდალი	2.05	3.7	2.9	1.31	1.2	1.62
		შვედეთი. ალსვენსკა						
		12 აპრილი						
22:00	439	ასირისკა-ჰამარბი	5.3	3.6	1.55	2.14	1.19	1.08
		ირლანდია						
		12 აპრილი						
22:45	454	დერი-ლონგფორდი	2.15	3.1	3.0	1.26	1.25	1.52
		იაპონია						
		13 აპრილი						
14:00	461	გამბა-ნიიგატა	1.65	3.4	4.4	1.11	1.2	1.91
14:00	462	ივატა-იჩიჰარა	2.1	3.1	3.0	1.25	1.23	1.52
14:00	463	კაშიმა-ომია	1.45	3.6	6.2	1.03	1.17	2.27
14:00	464	კაშივა-იოკოჰამა	2.9	3.1	2.15	1.49	1.23	1.26
14:00	465	ნაგოია-ტიკოი	2.45	3.1	2.5	1.36	1.23	1.38
14:00	466	ოიტა-ჩერეძო	2.2	3.0	2.9	1.26	1.25	1.47
14:00	467	ვერდი-ჰიროსიმა	1.8	3.3	3.7	1.16	1.21	1.74
14:00	468	ურავა-შიმიცუ	1.7	3.3	4.2	1.12	1.21	1.84
14:00	469	კობე-კავასაკი	2.1	3.1	3.0	1.25	1.23	1.52
		ჩემპიონთა ლიგა						
		12 აპრილი						
22:45	522	ინტერი-მილანი	2.65	3.0	2.6	1.4	1.31	1.39
22:45	523	ბაიერნი-ჩელსი	2.35	3.2	2.8	1.35	1.27	1.49
		13 აპრილი						
22:45	524	იუვენტუსი-ლივერპული	1.45	3.7	7.5	1.04	1.21	2.47
22:45	525	პსვ-ლიონი	2.25	3.1	3.1	1.3	1.3	1.54
		უეფას თასი						
		14 აპრილი						
19:00	526	ალკმაარი-ვილიარეალი	2.35	3.3	2.75	1.37	1.26	1.5
19:00	527	სპორტინგი-ნიუკასლი	1.95	3.3	3.6	1.22	1.26	1.72
19:00	528	ოსერი-ცსკა	1.85	3.4	3.7	1.19	1.23	1.77
19:00	529	პარმა-ავსტრია	1.7	3.4	4.65	1.13	1.24	1.96
		ავსტრია. თასი						
		12 აპრილი						
21:15	532	მატერსბურგი-რაპიდი	2.7	3.2	2.25	1.46	1.22	1.32
21:00	533	კერნტენი-ლინცერი	1.5	3.7	5.2	1.06	1.16	2.16

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:30	534	აუსტრია(ლ)-ერაცერი	3.6	3.2	1.85	1.69	1.22	1.17
		შვეიცარია. თასი						
		14 აპრილი						
16:30	535	აარაუ-ლუცერნი	1.85	3.2	3.9	1.17	1.25	1.75
		ბელგია. თასი						
		13 აპრილი						
22:30	536	ბეერსხოტი-ვენჯი	3.3	3.3	1.95	1.64	1.22	1.22
		საბერძნეთი. თასი						
		13 აპრილი						
20:00	553	არისი-ქსანთი	2.4	3.0	2.7	1.33	1.27	1.42
		პოლონეთი. თასი						
		12 აპრილი						
19:45	550	ამიკა-ლეხი	1.5	3.6	5.3	1.05	1.16	2.14
		13 აპრილი						
19:45	551	ვურნიკი-ლევია	2.85	3.0	2.25	1.46	1.25	1.28
19:45	552	პოლონია-ვისლა	4.4	3.3	1.65	1.88	1.2	1.1
		როიალ ლიგა						
		14 აპრილი						
22:35	538	რუსენბორგი-კოპენჰაგენი	1.75	3.4	3.7	1.15	1.18	1.77
22:35	539	ვიოტებორგი-ვოლერენგა	2.2	3.2	2.85	1.3	1.24	1.5
		ლიბერტადორესის თასი						
		12 აპრილი						
23:45	540	ბოლივარი-დანუბიო	1.6	3.4	4.7	1.08	1.19	1.97
23:45	541	ლიმა-ბანფილდი	1.8	3.3	3.6	1.16	1.2	1.72
23:45	542	ონსე კალდასი-ჩივასი	1.95	3.2	3.25	1.21	1.21	1.61
23:45	543	სტრონგესტი-უნ.ჩილე	2.0	3.1	3.2	1.21	1.23	1.57
		13 აპრილი						
23:45	544	კარაკასი-ტიეგრესი	2.0	3.1	3.2	1.21	1.23	1.57
23:45	545	სან პაულუ-კილმესი	1.45	3.6	6.0	1.03	1.16	2.25
		ჰოკეი. ფინეთი						
		12 აპრილი						
19:30	549	კერპეტი-იოკერიტი	2.0	4.2	2.4	1.35	1.09	1.52

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჰოკეი. სლოვაკეთი						
		12 აპრილი						
19:00	606	ზვოლენი-სლოვანი	1.85	4.3	2.7	1.29	1.09	1.65
		ჰოკეი. გერმანია						
		12 აპრილი						
21:30	610	ფრანკფურტი-მანჰაიმი	1.85	4.4	2.6	1.3	1.08	1.63
		კალათბურთი. ევროლიგა						
		14 აპრილი						
20:10	753	პანათინაიკოსი-ეფესი	1.45	12.0	2.5	1.29	1.0	2.06

CROCO BOOKMAKERS
ᲙᲠᲝᲙᲝ
ᲘᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲔᲗ ᲙᲠᲝᲙᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ

CROCO BOOKMAKERS
ᲙᲔᲓᲘᲗ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ
TIL CREDITI
10
42 00 24

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11522	ინტერი-მილანი	3.9	10.0	20.0	4.6	4.4	4.6	20.0	10.0	3.7
11523	ბაიერნი-ჩელსი	3.4	10.0	20.0	4.4	4.4	5.0	20.0	10.0	4.6
11524	იუვენტუსი-ლივერპული	1.9	12.0	25.0	3.5	4.6	10.0	20.0	10.0	10.0
11525	პსვ-ლიონი	3.3	10.0	20.0	4.4	4.4	5.6	20.0	10.0	4.8

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11526	ალკმაარი-ვილიარეალი	3.4	10.0	20.0	4.4	4.4	5.0	20.0	10.0	4.4
11527	სპორტინგი-ნიუკასლი	2.8	10.0	20.0	3.8	4.4	6.5	20.0	10.0	5.6
11528	ოსერი-ცსკა	2.7	10.0	20.0	3.6	4.4	7.0	20.0	10.0	6.0
11529	პარმა-ავსტრია	2.5	10.0	20.0	3.5	4.6	7.5	20.0	10.0	6.5

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10522	ინტერი-მილანი	3.3	1.9	3.1	1.2	1.59	1.17
10523	ბაიერნი-ჩელსი	2.6	2.0	3.45	1.13	1.48	1.26
10524	იუვენტუსი-ლივერპული	1.75	2.2	5.5	1.0	1.32	1.57
10525	პსვ-ლიონი	2.65	2.0	3.5	1.13	1.5	1.27

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10526	ალკმაარი-ვილიარეალი	2.85	2.0	3.2	1.17	1.5	1.23
10527	სპორტინგი-ნიუკასლი	2.4	2.0	4.0	1.09	1.5	1.33
10528	ოსერი-ცსკა	2.2	2.0	4.2	1.04	1.44	1.35
10529	პარმა-ავსტრია	2.3	2.1	4.1	1.09	1.47	1.38

დაბალი რამდენიანობის ბილი გავა მატჩში თუ კანტი (0:0 ითვლება ლუფად)

		---------- ლუწი --	კენტი
16522	ინტერი-მილანი	1.85	1.95
16523	ბაიერნი-ჩელსი	1.85	1.95
16524	იუვენტუსი-ლივერპული	1.85	1.95
16525	პსვ-ლიონი	1.85	1.95
16526	ალკმაარი-ვილიარეალი	1.85	1.95
16527	სპორტინგი-ნიუკასლი	1.85	1.95
16528	ოსერი-ცსკა	1.85	1.95
16529	პარმა-ავსტრია	1.85	1.95

ზოგს ბარეში(ძირ. დრო)

17522	ინტერი-მილანი	1.85	1.65
17523	ბაიერნი-ჩელსი	1.55	2.0
17524	იუვენტუსი-ლივერპული	1.12	4.3
17525	პსვ-ლიონი	1.6	1.95

რომელი გუნდი გავა შემდეგ ეტაპზე

18522	ინტერი-მილანი	7.7	1.05
18523	ბაიერნი-ჩელსი	6.0	1.1
18524	იუვენტუსი-ლივერპული	1.4	2.8
18525	პსვ-ლიონი	1.6	2.25

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შორი დამატებულად ჩაითვლება)

14522	ინტერი-მილანი	1.9	1.9
14523	ბაიერნი-ჩელსი	1.85	1.95
14524	იუვენტუსი-ლივერპული	1.3	2.5
14525	პსვ-ლიონი	1.8	2.0
14526	ალკმაარი-ვილიარეალი	1.85	1.95
14527	სპორტინგი-ნიუკასლი	1.7	2.1
14528	ოსერი-ცსკა	1.75	2.1
14529	პარმა-ავსტრია	1.5	2.2

ბაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		---------- კი	-------- არა
13522	ინტერი-მილანი	1.7	1.9
13523	ბაიერნი-ჩელსი	1.7	1.9
13524	იუვენტუსი-ლივერპული	1.7	1.9
13525	პსვ-ლიონი	1.7	1.9
13526	ალკმაარი-ვილიარეალი	1.7	1.9
13527	სპორტინგი-ნიუკასლი	1.7	1.9
13528	ოსერი-ცსკა	1.7	1.9
13529	პარმა-ავსტრია	1.7	1.9

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12522	ინტერი-მილანი	1.55	2.2
12523	ბაიერნი-ჩელსი	1.7	1.9
12524	იუვენტუსი-ლივერპული	1.6	2.1
12525	პსვ-ლიონი	1.6	2.1
12526	ალკმაარი-ვილიარეალი	1.9	1.7
12527	სპორტინგი-ნიუკასლი	1.7	1.9
12528	ოსერი-ცსკა	1.7	1.9
12529	პარმა-ავსტრია	1.6	2.0

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15522	ინტერი-მილანი	3.0	2.8	2.0
15523	ბაიერნი-ჩელსი	3.0	2.8	2.0
15524	იუვენტუსი-ლივერპული	3.0	2.8	2.0
15525	პსვ-ლიონი	3.0	2.8	2.0
15526	ალკმაარი-ვილიარეალი	3.0	2.8	2.0
15527	სპორტინგი-ნიუკასლი	3.0	2.8	2.0
15528	ოსერი-ცსკა	3.0	2.8	2.0
15529	პარმა-ავსტრია	3.0	2.8	2.0

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ



ფოტო ალექსანდრე ბოგვერაძისა

შემონდ უილიამსი



ფოტო ფილიპეს ბაბალიანის

გიორგი ცინცაძე

არაქართველთა ხუთჯვაროსნული დერბი

მარკოიშვილი ბოისას დაეტოლა

წინა კვირაში არაერთ ლეგიონერს გაუცრუვდა იმედი, მაგრამ მოლიანობაში გასული შვიდი დღე წარმატებული იყო „ხუთჯვაროსნებისთვის".

წინანდელი მიმოხილვის დარად, სლოვენიიდან დავიწყოთ, სადაც, მოგეხსენებათ, სამი ჩვენიანი თამაშობს ამ ქვეყნის წამყვან კლუბებში. ლიუბლიანის „ოლიმპიას" ახლახან გამოუჯანმრთელდა მანუჩარ მარკოიშვილი, რომელმაც ოვეზე მეტი საათადარიგოთა სკამზე გაატარა და ახლა, ეტყობა, საბოლოოდ მოიშუშა ტრავმა.

„მანომ" ადრიატიკის ლიგაზე ნათამაშებ ორივე მატჩში გამოიჩინა თავი. ის კი არა, 9 აპრილის შეხვედრაში თავად ვლადიმერ ბოისას, ლიუბლიანელთა კაპიტანსა და უთუმცაა ლიდერს ავჯობა. ეს მოხდა სერბულ „რეფლექსთან" 80:66 მოგებულ მატჩში, რომელშიც მარკოიშვილმა 27 წუთში 13 ქულა და 5 მოხსნა მიითვალა. ბოისამ კი უჩვეულოდ ცოტა ითამაშა — 23 წუთში 12 ქულას მოუყარა თავი.

სამაგიეროდ, ვლადიმერმა ოთხშაბათს იჯერა თამაშით გული. ხორვატიაში „ზადართან" 36 წუთი დაყო მოედანზე და 19 ქულით ბომბარდირი გახდა. მარკოიშვილმა ამ მატჩში ლიუბლიანელებს 5 ქულა მიაშველა, მაგრამ „ოლიმპია" მაინც დამარცხდა და ადრიატიკის ლიგის ლიდერობას შეჩვეული ერთბაშად სამი საფეხურით ჩამოქვეითდა.

სლოვენიიდან რუსეთში გადავიცვლოთ, სადაც ქართველთა ნაკრების წევრთა არაქართული დერბი შედგა. გიო ცინცაძის „ურალ გრეიტმა" ბორჯომალპასპორტიანი შემონდ უილიამსის „უნიკსი" მიიღო და რაც ამ სეზონში ჯავრი დაჰგროვებოდა, სულ ყაზანელებზე მყარა.

საქართველოს ნაკრების წევრები ერთმანეთს მოედანზე მცირე ხნით ეპაექრნენ. ამის მიზეზი ცინცაძის 5-წუთიანი ბურთაობაა, რომელმაც ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი ჩაჭრისა და ამდენივე შედეგიანი პასის გაკეთა მოასწრო. უილიამსმა კი 32 წუთი ითამაშა, მაგრამ მის მიერ მოხვეჭილმა 13 ქულამ ვერაფერში არგო უნიკსელებს.

საფრანგეთში როგორც იქნა, „დიჟონმა" იმარჯვა და პლეი ოფში გასვლისთვის ბრძოლას წარმატებით აგრძელებს. „ნანტთან" ვიქტორ სანიკიძემ სასტარტო ხუთეულში დაიწყო თამაში და მეტოქის რბევაში 4-4 ქულა-მოხსნიანი წვლილი შეიტანა. ამავე ქვეყნის PRO B დივიზიონში გიორგი მდივანმა გამოიჩინა თავი, თუმც მისი „ეპინალი" მაინც დამარცხდა „კლერმონთან". გიომ 24 წუთში 7 ქულა და 8 მოხსნა მოიხვეჭა, რაც სოლიდური შედეგია, თუ მის კარგა ხნის უთამაშებლობას გავითვალისწინებთ.

ლიტვაში მობურთალი ტატო ვაშაკიძის ამბებს კი აღარც ვკითხულობთ, ისე შევეჩვიეთ მის კარგ თამაშს. ტატომ „ბურატინასთან" 22 წუთში 20 ქულა ჩაგდო, „პასვალიომ" კი 105:78 გადაუარა ამ სახალისო სახელის მქონე გუნდს.

სამწუხაროდ, პასვალიოელებმა ამ უქმეების მეორე შეხვედრა წააგეს პირველობის უშუალო მოცილე „სილუტთან" და ახლა ამ გუნდთან მხოლოდ ერთქულიან უპირატესობას ფლობენ.

ოკეანგაღმიდან კი ისევ ისეთი სიო ქრის, როგორც აქამდე. ნიკა ცქიტიშვილი სკამზე ზის, ზაზა ფაჩულია კი მეტ-ნაკლები წარმატებით თამაშობს. „სკიტას" საქმეს ისიც ართულებს, რომ „გოლდენ სტეიტი" ბრწყინვალედ თამაშობს. კვირას „სან ანტონიოსთან" ორმაგ ოვერტაიმში ორი ქულით წაგებულ მატჩამდე ოკლენდელებმა მიჯრით 8 შეხვედრა მოიგეს და სათადარიგო სკამის ბოლოში მჯდარი ქართველი ფორვარდიც, ცხადია, არავის გახსენებია.

ფაჩულიასგან კი ისაა ახალი, რომ შაბათს „კლივლენდთან" მატჩში თამაში ხუთეულში დაიწყო, თუმც 4 ქულაზე მეტი ვერ მოიხვეჭა.

ირაკლი პერტაია

სახელი გვარი	გუნდი	ტურნირი	მეტოქე	სად	ანგარიში	წთ	ქ	მ	პ	ჩ
ვლადიმერ ბოისა	ოლიმპია	ადრიატიკის ლიგა	ზადარი	ს	66:71	36	19	5	1	3
			რეფლექსი	მ	80:64	23	12	4	1	1
მანუჩარ მარკოიშვილი	ოლიმპია	ადრიატიკის ლიგა	ზადარი	ს	66:71	16	5	2	1	3
			რეფლექსი	მ	80:64	27	13	5	1	1
შემონდ უილიამსი	უნიკსი	სუპერლიგა (რუსეთი)	ურალ გრეიტი	ს	74:105	32	13	3	4	1
გიორგი ცინცაძე	ურალ გრეიტი	სუპერლიგა (რუსეთი)	უნიკსი	მ	105:74	6	0	0	1	1
ვიქტორ სანიკიძე	დიჟონი	PRO A. (საფრანგეთი)	კლერმონი	მ	181:53	22	4	4	1	1
გიორგი მდივანი	ეპინალი	PRO B. (საფრანგეთი)	ნანტი	ს	81:88	24	7	8	2	1
დავით უგრეხელიძე	პივოვარნა	ადრიატიკის ლიგა	ცრვენა ზვეზდა	მ	60:62	5	0	0	0	0
			ბუდუჩნოსტი	ს	85:64	22	12	7	0	3
ტატო ვაშაკიძე	პასვალიო	მეორე ლიგა (ლიტვა)	ცილუტო	ს	68:110	21	9	1	1	1
			ბურატინა	მ	105:78	22	20	1	3	2
ნიკოლოზ ცქიტიშვილი	გ. სტეიტი	ნბა. რეგულარული ჩემპ.	პიუსტონი	მ	122:117	არ უთამაშია				
			ფინიქსი	მ	127:119	არ უთამაშია				
			პორტლენდი	ს	104:102	არ უთამაშია				
			სან ანტონიო	მ	134:136	არ უთამაშია				
ზაზა ფაჩულია	მილუოკი	ნბა. რეგულარული ჩემპ.	ბოსტონი	ს	97:103	20	3	8	1	0
			შარლოტი	მ	93:75	21	9	8	1	0
			კლივლენდი	ს	81:98	27	4	7	6	0

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; მ — მინ

NBA რეგულარული ჩემპიონატი

გაქიტანეთ აქედან!

სან ანტონიომ გოლდენ სტეიტი მოდრიკა

— 10 აპრილი —

გოლდენ სტეიტი 134:136 სან სანტონიო

ძირითადი დრო 117:117

გოლდენ სტეიტი: დევისი (38 ქულა, 9 პასი, 6 მოხსნა), რიჩარდსონი (23), დენივი (16), ფოილი (15 ქულა, 16 მოხსნა), მერფი (14 ქულა, 13 მოხსნა)

ცქიტიშვილი სათადარიგო იყო

სან ანტონიო: პარკერი (35 ქულა, 12 პასი, 6 მოხსნა), მუსამედი (19 ქულა, 15 მოხსნა), ბერი (17), ბოუენი (17), ჰორი (17)

ინდიანა 112:113 ნიუ იორკი

ძირითადი დრო 104:104

ინდიანა: მილერი (34), ჯეკსონი (27), ჯონსონი (18 ქულა, 16 მოხსნა)

ნიუ იორკი: კროუფორდი (32), სვიტნი (20), მარბერი (17 ქულა, 19 პასი)

მაიამი 72:80 დეტროიტი

მაიამი: ე. ჯონსი (19)

დეტროიტი: ჰამილტონი (17), პრინსი (16)

საკრამენტო 124:105 ლეიკერსი

საკრამენტო: ტომასი (32 ქულა, 14 მოხსნა), ბიბი (24)

ლეიკერსი: ბრაიანტი (18), ბატლერი (17)

მემფისი 102:95 შარლოტი

მემფისი: ბეტიე (25), მილერი (21), გასოლი (16), რაიტი (16)

შარლოტი: ნაითი (22 ქულა, 10 პასი), ოკაფორი (19 ქულა, 18 მოხსნა)

ნიუ ორლეანი 81:90 პორტლენდი

ნიუ ორლეანი: ნეილონი (20)

პორტლენდი: აბდურ-რაჰიმი (25 ქულა, 10 მოხსნა), სტუდემაიერი (19)

ბაირონ დევისისა და მისი „გოლდენ სტეიტის" თავხედური თარეში „სან ანტონიო სფურზმა" აღკვეთა, თუმც ამისთვის მართლა ბოლომდე დახარჯვა და ბეწვის ხიდზე გავლა მოუხდა. „სფურზს" ერთბაშად სამი დამწყები აკლდა — ორი ძირითადი მეფარე, ტიმ დანკანი და რაშო ნესტეროვიჩი, კარგა ხანია, დამტვრეულები არიან და ტეხასელებს კალიფორნიელებთან კუჭის აშლილობის მიზეზით გამოაკლდა მანუ ჯინობილიც. და ერთიც, ამდენ ხალხნაკლულ „სან ანტონიოს" სწორედ წინა დღით გადახდა დიდი ომი „ლოს ანჯელეს კლიპერსთან" და ამ უპლეიოფო გუნდის წასაქცევად ორი ოვერტაიმი დასჭირდა. მაგრამ თურმე ნამდვილი ომი წინ ელოდა...

ზედიზედ რვა თამაშის მომგებმა „გოლდენ სტეიტმაც" ასევე წყვილ ოვერტაიმიანი ბათქაბუთქი მოუწყო „სფურზს". ბაირონ დევისმა და ტონი პარკერმა, რომელმაც ჯინობილის და დანკანის არყოფნაში გამთამაშებლობის ლიდერის ფუნქციებიც შეუთავსა, გვარიანად გააწვალეს ერთმანეთიც და ერომანეთისიანებიც. ორივე ასცდა 30-ქულიან თამასას. ამასთან პარკერმა 35 ქულის მოხვეჭით კარიერის რეკორდი დაამყარა, ხოლო დევისს ასეთივე რეკორდამდე ორი ქულა დააკლდა. თითქოს მასპინძლის უფრო ჩაუქობდა — დევისმა გადაიყვანა მატჩი პირველ და მეორე ოვერტაიმებში, მაგრამ მეორეს ბოლოს გადამწყვეტი ბურთი მისი ფრანგი ოპონენტისა იყო — პარკერი მასპინძლებს შორის გაძვრა და სამწამიანში უცერემონიოდ შეჭრილმა სირენამდე 2,9 წამით ადრე დამცველებს ხელებზე გადააცლო გამარჯვების ბურთი. პარკერი ნამატჩევს ძლივს სუნთქავდა — ორ დღეში 99 სუფთა წუთი ვითამაშე და ეს შეხვედრა მესამე ოვერტაიმშიც რომ გადასულიყო, ალბათ მოედნიდან გამიტანდნენო.

დამატებითი დრო დასჭირდა პრიცნიპული მეტოქეების — „ინდიანასა" და „ნიუ იორკს" შოიის მეკობნის გამოელენას. პირველში რეგი მილერმა მოიხვეჭა 34 ქულა, მეორე გუნდში ჯამაალ კროუფორდმა ითავა ბომბარდირობა. მაგრამ მატჩის გმირი სულ სხვა. ბევრისთვის უცნობი ჯეკსი გახდა — 210-სანტიმეტრიანმა ყოფილმა ნიუიოსკელმა მაიკლ სვიტნიმ დამატებითი დროის დასრულებამდე ორიოდ წამით ადრე თანაგუნდელი სტივენ მარბერის აყოლებული ბურთი „ინდიანას" კალათში ჩააბრუნა. სვიტნი ნამატჩევს დიდად ნაამები ჩანდა — ცხოვრებაში არ ჩამიგდია გადამწყვეტი ბურთიო, თანაც მან „ინდიანას" კარიერაში სარეკორდო 20 ქულა უმარჯვა.

ჩემპიონ „დეტროიტთან" წაგებ შესაძლო მომავალმა ჩემპიონმა „მაიამიმ", თუმცა ფლორიდელებს თავის მართლების საპატიო მიზეზი აქვთ — შაკილ ონილი აკლდათ. მის გარეშე „მაიამიმ" ორივე ფარზე წააგო ბრძოლა და ვერც დაბლებმა უშველეს. დუეინ ვეიდმა სეზონის ერთ-ერთი უარესი მატჩი ჩააჭარა — 21 წუთში 5 ქულა და კინკილა პასი შეაწია თავის განწირულ გოლიათ გუნდს.

კოტე ყორშია

აღმოსავლეთი

მაიამი	56	21	72,7
დეტროიტი	49	27	64,5
ბოსტონი	41	35	53,9
ჩიკაგო	44	32	57,9
ინდიანა	41	35	53,9
ვაშინგტონი	41	35	53,9
ფილადელფია	39	37	51,3
კლივლენდი	39	37	51,3
ნიუ ჯერსი	38	39	49,4
ორლანდო	35	41	46,1
ტორონტო	31	45	40,8
ნიუ იორკი	30	46	39,5
მილუოკი	29	47	38,2
შარლოტი	15	61	19,7
ატლანტა	12	64	15,8

დასავლეთი

ფინიქსი	57	19	75,0
სან ანტონიო	57	20	74,0
სიეტლი	50	26	65,8
დალასი	52	24	68,4
საკრამენტო	48	30	61,0
ჰიუსტონი	46	31	59,7
დენვერი	45	31	59,2
მემფისი	44	32	57,9
მინესოტა	40	37	51,9
ლეიკერსი	34	43	44,2
კლიპერსი	34	43	44,2
გოლდენ სტეიტი	31	46	40,3
პორტლენდი	25	51	32,9
იუტა	24	52	31,6
ნიუ ორლეანი	18	58	23,7

პირველი სამი ადგილი დივიზიონის ლიდერებს უჭირავთ

რუსუდან ხოფერია და მისი მწვრთნელი ზაურ სულაშვილი ათენის ოლიმპიურ თამაშებზე

წავიდა, რათა დარჩეს

„ვფიქრობდი, სიდნეის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი თუ ვერ გავხდები ერთ-ერთ მედალს მაინც მოვიპოვებ, მერე კი აქტიურ სპორტს გამოვეთხოვები-მეთქი. სამწუხაროდ, სიდნეიში უმედლოდ დავრჩი. იმის მერე ბატუტის გაგონება კი არა, ლამის სიცოცხლეც აღარ მინდოდა. მეგონა, ყველაფერი დამთავრდა-მეთქი. ვარჯიშსაც შევეშვი, ორი წლის მერე კი ანა დოღონაძე შემიჩნდა, შემაგულიანა და...“

ეს ამბავი რუსუდან ხოფერიამ ათენის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე მიამბო და მეც კიდევ ერთხელ გამახსენდა მისი სიდნეური მარცხი.

მაშინ რუსუდან ხოფერია სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ბატუტზე მხტომელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და ტიტულოვანი სპორტსმენი იყო. იგი მსოფლიოს სამგზისა და აბსოლუტური ჩემპიონის (1988 წ), ორგზის მეორე (1982) და მესამე (1990) კრიზიორის, ევროპის სამგზის ჩემპიონის (1987-1989), მეორე და მესამე პრიზიორის (1987), მედლებით დამძიმებული, მსოფლიოს ორი (1995-1999) და ევროპის ერთი თასით (1997) დამშვენებული გამოდიოდა. მისი ჯილდოების კოლექციაში იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის, ოქროს და ვერცხლის მედლები, სამი საკავშირო თასი და კიდევ უამრავ საერთაშორისო ტურნირში დამსახურებული პრიზები.

რაღა გასაკვირია, რომ ასეთი ტიტულოვანი სპორტსმენი სიდნეის ოლიმპიადის ერთ-ერთი უპირველესი ფავორიტი იყო.

იმ ოლიმპიურ ბატუტზე მართლაც ბრწყინვალედ დაიწყო გამოსვლა. ყველაფერს რაფინირებულად და იუველირის სიზუსტით აკეთებდა, მაგრამ სულ ბოლო წამს ოდნავ გვერდზე გახტა და ფეხი ლეიბისკენ წაუცდა...

ორი წლის მერე ბატუტს საათენო ოლიმპიური თამაშებისთვის დაუბრუნდა. ჯილდოების კოლექციის შევსება ერთი ოლიმპიური მედლით სიგიჟემდე უნდოდა, მაგრამ ისევ ხელი მოეცარა, მომდევნო, პეკინის თამაშებისთვის ფიქრი კი უაზრო გახდა — იქამდე ხომ კიდევ ოთხი წელიწადი და კარს მომდგარი ახალგაზრდობაა. ვინ იცის, იქნებ მათ შორის ის გოგონაცაა, რომელიც გასულ კვირას თბილისის გუნდურ პირველობაში გამოდიოდა.

იმ შეჯიბრების დასასრულს თბილისის მერიის სპორტის სამსახურის წარმომადგენლებმა აქტიური სპორტიდან გააცილეს რუსუდან ხოფერია. თუმცა, შორს არ წასულა, იქვე დარჩა, რათა სხვებს გადასცეს თავისი ცოდნა და გამოცდილება.

და იქნებ თავისი შემცვლელი ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური სპორტსკოლის სკოლის გუნდის წევრია...

ვინ იცის?!

ავთანდილ გურასაშვილი

ავტორის ფოტო

2006 წლის ჩემპიონი ცნობილია: მალარიით ხნიშლი კენიელი-დანიელი

დანიელი — ფორმალურად ასეა და ჩვენც ასე უნდა მოვიხსენიოთ — უილსონ კიპკეტერი, რომელსაც 800 მეტრზე რბენაში როგორც დარბაზისთვის, ასევე ღია სივრცისთვის მსოფლიოს რეკორდები დაუმყარებია, აცხადებს, რომ 2006 წელს შვედეთში, კერძოდ გეტებორგში ერთხელაც მოიგებს ევროპის ჩემპიონის ტიტულს და სპორტსმენის კარიერას ამით დაასრულებს.

„1995 წელს ჩემი პირველი მსოფლიოს ოქრო სწორედ გეტებორგში მოვიგე და კარიერის დასრულებაც ამიტომ მინდა ჩემთვის იღბლიან და ღირსსახსოვარ ქალაქში.“

დანიის მძლეოსანთა ნაკრების მწვრთნელი ლარს ნილსენი:

„წლეულს ის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გამოვა. ბოლო ხანს კენიაში გახლდათ და იქიდან დაბრუნებულმა იგრძნო, რომ საუკეთესო ფორმისგან შორს არის. გარდა ამისა, ეტყობა, რომ ამწუთას არც ამბიცია აქვს ისეთი, კაცს მსოფლიოს პირველობას რომ მოაგებინებს.“

შეგახსენებთ, რომ 34 წლის კიპკეტერი 800 მეტრზე ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ორ წრეზე რბენის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდეს სპორტსმენთაგანია. იგი გახლავთ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი — სამივე ტიტული აქლეტიკისა და სიდნეის ოლიმპიადებს შორის მოიპოვა. იმავე პერიოდში მან მოქალაქეობა გამოიცვალა. რიგორც ზემოთ მოგახსენეთ, კენიელობაზე უარი თქვა და დანიელი გახდა, რის გამოც მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ დისკვალიფიკაციით დასაჯა და სწორედ ამის გამო მოუხდა აქლეტიკაში შორიდან ცქერა იმისა, თუ როგორ გახდა ნორვეგიელი ვებიორნ რიდალი ოლიმპიური ჩემპიონი.

2000 წელს, სიდნეიში კიპკეტერმა ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო შარშან, ათენში, ბრინჯაო.

მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია აგრეთვე ის, რომ დიდებულ ფორმაში მყოფი, 1997 წელს მალარიით მძიმედ დაავადდა, რის გამოც შემდგომ პერიოდში საკუთარი თავის ჩრდილს ჰგავდა. ამის გამო ვერ მოიპოვა მან 1998 წელს ევროპის ჩემპიონის ტიტული, თუმცა საბოლოოდ მაინც მოუქცა ბებერი კონტინენტის თავზე — 2002 წელს მიუნხენში ოქრო მოიგო.

ტუტა სიხარულიძე



ლუისი მშიშარაა

ჩემპიონმა გამლახავი მიწასთან გაასწორა

WBC-ს ვერსიით მსოფლიოს მძიმეწონოსან უკრაინელ ჩემპიონ ვიტალი კლიჩკოს ორი წლის წინანდელი ლუისთან მარცხი ჯერაც რომ ტვინს უღრღნის, ამ დღეებში დადასტურდა. ჟურნალ პლეიბოისთვის მიცემულ ინტერვიუში კლიჩკომ ბრიტანელთან 2003 წლის ბრძოლა თავად გაიხსენა და ექსმეტოქე გვარიანადაც გამოლანძღა.

„ლენოქსი ძალიან ბევრს ლაპარაკობს და თავს აშკარად ზედმეტად ძლიერად ასალებს — ამბობს ვიტალი — არადა, გარწმუნებთ, კარიერა სწორედ ჩემს გამო შეწყვიტა. მას შემდეგ, რაც საქმეში ექიმის ჩარევის გამო ჩემთან მოგება ჩაუთვალეს, მატჩრევანშს დამპირდა, ოღონდ მანამდე კირკ ჯონსონი უნდა დამემარცხებინა. ეს შევძელი, მაგრამ ლუისმა სიტყვის შესრულების ნაცვლად ხელთათმანების კედელზე დაკიდება არჩია. თავისი თავის იმედი რომ ჰქონოდა, ასე ნაბდვილად არ მოიქცეოდა.“

ოთარ ბაღლაკელიძე

განსხვავებულები

იგორის პირველი, ლინდსის — ორმოცდამეშვიდე

BAUSCH AND LOMB CHAMPIONSHIPS
ამელია აილენდი, თიხნარი
საპრიზო 585 ათასი $

ფინალი

ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — სილვია ფარინა ელია (12, იტალია) 7:6 7:5

საიმისოდ, რათა წლის მეორე და კარიერის 47-ე ტიტული მიეთვალა, ამქრის 28 წლის პირველოსანს ოთხი წლით უფროსი მეტოქის გარდა საკუთარ შეცდომებთან ჭიდილიც მოუხდა. ლინდსიმ, ვისაც ამელიაილენდობაზე აქამდე ორჯერ — 1997 და 2003 წლებში ემარჯვა, ფარინა ელიას წინააღმდეგ ჯამში 36 იაღლაში დაუშვა და მეორე სეტის მეექვსე გეიმის მერე 2:4-საც კი აგებდა. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მან მაინც მოახერხა, შინაგან ძრწოლას მორეოდა, მიქარვიანი ბურთაობისთვის ზღვარი დაედო და კლას-რანგით მასზე დასტურ დაბლა მდგომი მეტოქისთვის ჩოგანი სწორუპოვრად შეებრუნებინა. შედეგად — ფარინა ელიამ თავადაც ჩაყვინთა და მესამე საიქაო ბროლის თასი ლინდსის თავის გეიმზევე მიართვა. ეს იყო მათი მერვე დაპირისპირება და ამერიკელმა იტალიელს უკვე მეშვიდედ აჯობა.

სხვაფრივ — მარტინა ნავრატილოვას, კრის ევერტისა და გაბრიელა საბატინის შემდეგ ლინდსი ამელია აილენდის მეოთხე სამგზის გამარჯვებული გახდა.

შეგახსენებთ იმასაც, რომ წლეულს მან უკვე



AFP ფოტოებიდან

იგორ ანდრეევი



ლინდსი დევენპორტი

თავის მეხუთე ფინალში ითამაშა. ამ ხუთიდან ავსტრალიობის გადამწყვეტ შეხლაში ის სერენა უილიამსთან დამარცხდა, ტოკიოობისაში — მარია შარაპოვასთან, ხოლო ინდიანუელსური ჯილდო კი კიმ კლაისტერსთან დათმო. გამარჯვებით კი მან მხოლოდ დუბაურ ფინალში იმარჯვა, სადაც ყმაწვილ ელენა იანკოვიჩს აჯობა. ამ ხუთფინალეულ-ორტიტულის წყალობით ლინდსი წლეულს პირველი ქალმეჩოგნეა, ვინაც საამმომენტოდ უკვე ერთი მილიონი საპრიზო დოლარი მოიკაბადა.

რაც შეეხება ფარინა ელიას, ამ შეევეტერნებულმა იტალიელმა თავის მეცამეტე ფინალიდან უკვე მეათე წააგო. მისი მოგებული ფინალები 2001-03 წლების სტრასბურგობაზე მოდის.

OPEN DE TENIS COMUNIDAD VALENCIANA
ვალენსია, თიხნარი
საპრიზო 319 ათასი ევრო

ფინალი

იგორ ანდრეევი (7, რუსეთი) — დავიდ ფერერი (5, ესპანეთი) 3:6 7:5 6:3

21 წლის რუსი იგორ ანდრეევი ვალენსიაში ცხოვრობს და, რა გასაკვირია, კარიერის პირველი ტიტული სწორედ იქ რომ მოლვაწა. თანაც — ეგებ ის წინისწინა კვირაში, მაიამობის ნახევარფინალამდე ნაჩოგნავებ დავიდ ფერერზე უმჯობესი მეჩოგნე სულაც არ იყოს — მაგრამ მასზე წლით უფროს ესპანელ ჩოგანი სწორად იმან მოაკაკვინა, რომ მაიამობაზე კაცურად გარჯილს ვალენსიობაზე ასევე კაი ოფლის ღვრა და ფინალისწინა დღეს ერთბაშად ორი, მეოთხედფინალური და ნახევარფინალური მატჩის თამაში მოუხდა. მოკლედ და კონკრეტულად — მოგებული სეტის მერე ფერერს უეცრად ილაჯი გამოეცალა და უფრო ძალაშემონახულ რუსთან ველარაფერი გააწყო. ანდრეევს — შეგახსენებთ — შარშან ორ ფინალში, ბუქარესტსა და გშტაადში ეთამაშა, მაგრამ ორივეგან ძლეულიყო. ახლა კი ის უკვე ტიტულოსანია და საამკვირაო ჩემპიონთა რბოლაშიც 65-ე ადგილიდან ერთბაშად 35 ალაგით აინაცვლა.

არტემ ჩაჩანიძე

ბოლო პერიოდში ჭიდაობის ფედერაციაში შექმნილი არაჯანსაღი გარემოს შესახებ არაერთგზის დაგვინერია. საზოგადოებისთვისაც ასე თუ ისე ნათელია, რა და როგორ მოხდა. ახლა საჭიდაო სამყარო 4 მაისის რიგგარეშე ყრილობის მოლოდინშია, რომელზეც საპრეზიდენტო არჩევნებიც მოეწყობა. სკანდალი თითქოს მინელდა, თუმცა დაპირისპირება რომ გრძელდება, ერთი თვალის შევლებითაც ნათელია.

გუშინ ყრილობის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფიდან საზოგადოებისადმი სპეციალური მიმართვა მივიღეთ. გთავაზობთ მის უმნიშვნელოდ შემცირებულ ვარიანტს.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის მიმართვა საზოგადოებისადმი

2004 წლის 15 დეკემბერს საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ მორიგ ყრილობაზე დააკმაყოფილა ყოფილი პრეზიდენტის გოჩა ძასოხოვის განცხადება, გადადგომის შესახებ და ახალ პრეზიდენტად აირჩია ყოფილი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ბაკურ გოგიტიძე.

ბაკურ გოგიტიძის კანდიდატურის შერჩევა განპირობებული იყო არჩევამდე ამ ადამიანის ახლო მეგობრული დამოკიდებულებით სპორტსმენებსა და მწვრთნელებთან, გარკვეული მხარდაჭერით ფედერაციის საქმიანობისადმი და იმ დაპირებებით, რომელთა შესრულების შესახებაც ეი წერილობით გარანტიას იძლეოდა საგანგებოდ დაბეჭდილ ბუკლეტში.

აღსანიშნავია რომ, მისი კანდიდატურის გარშემო ხელისუფლებაში, რომელიაგანც ბუნებრივია მჭიდროდ თანამშრომლობს ფედერაცია, არ არსებობდა ერთიანი პოზიცია. ნაწილი მას მხარს უჭერდა, ხოლო მეორე ჯგუფი ურჩევდა ფედერაციას თავი შეეკავებინა ამ კანდიდატურისთვის მხარდაჭერისაგან. სწორად ამ მეორე ნაწილმა დაფიქსირა ოფიციალურად ხელისუფლების პოზიცია ყრილობის მიმდინარეობისას. თუმცა ყრილობის დელეგატებმა ჩათვალეს, რომ ხელისუფლების მხრიდან ოფიციალური პოზიცია გაკილებით ადრე უნდა დაფიქსირებულიყო და არ უნდა მისულიყო საქმე ყრილობის დღემდე, სადაც ჩამოსული იყვნენ ადამიანები მთელი ქვეყნიდან პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატის მხარდასაჭერად. ამიტომ დელეგატებმა გადაწყვიტეს პრეზიდენტად ბაკურ გოგიტიძისთვის ერთხმად დაჭერათ მხარი.

ერთი სიტყვით, ბაკურ გოგიტიძეს ჭიდაობის საზოგადოებამ დიდი ნდობა გამოუცხადა. არ მოერიდა ამისთვის ხელისუფლებასთან ფაქტიურ დაპირისპირებას. ყოველივე ამის შემდეგ, ლოგიკურად ფედერაციის პრეზიდენტი და ჭიდაობის საზოგადოება ერთ მუშტად უნდა შეკრულიყო — დაერწმუნებინა ხელისუფლება და საზოგადოება, რომ დელეგატებმა სწორი არჩევანი გააკეთეს.

სამწუხაროდ, ჩვენ ბაკურ გოგიტიძის მხრიდან აბსოლუტურად საწინააღმდეგო პროცესების მოწმენი გავხდით, წარმოგიდგენთ ზოგიერთ მათგანს:

1. პრეზიდენტის პირველი ქმედება გამოიხატა მისი უშუალო ჩარევის შედეგად ყრილობაზე არჩეული პრეზიდიუმის წევრების — გურამ სალარიძის, რომან რურუას, დავით ცომაკურიძის, ლერი ხაბელოვის, დავით გობეჯიშვილის და გიორგი მაკასარაშვილის ნოტარიუსით რეგისტრირებულ სიაში არ შეყვანით.

2. პრეზიდენტმა ბაკურ გოგიტიძემ იგნორირება გაუწია დარჩენილ პრეზიდიუმის წევრების წესდების მე-7,9 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას, როდესაც უსაფუძვლოდ თანამდებობიდან გადაყენა ყრილობაზე არჩეული პრეზიდიუმის წევრები — თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა 6 უფროსი მწვრთნელი: ზაზა თურქანიძე, ნუგზარ სხირელი, თამაზ ბენდიანაშვილი, ბეგი დარჩია, ვლადიმერ ადეიშვილი და ვაჟა კრავეიშვილი.

ყოფილ პრეზიდენტ ძასოხოვთან ერთად ესენი იყვნენ ის ადამიანები, რომელთა ძალისხმევითაც საქართველოს ნაკრებმა გუნდებმა თავდადებული შრომის ხარჯზე, არც თუ კომფორტულ პირობებში მოიპოვეს თვალსაჩინო წარმატებები.

წარმატებების შემდეგ მწვრთნელებს, როგორც წესი, არ ხსნიან, მით უმეტეს, თუ ისინი მთელი თავისი არსებით საქმეს ერთგულად, უმაღლესი რანგის პროფესიონალურ დონეზე ემსახურებიან და შეგირდებში სიყვარულითა და ნდობით სარგებლობენ.

გარდა ამისა, არჩევამდე ბაკურ გოგიტიძის დანაპირების მიხედვით, ერთი წლის განმავლობაში იგი არ აპირებდა რაიმე საკადრო ცვლილებების განხორციელებას.

სრულიად მიუღებელი იყო ის ფორმაც, რომლითაც პრეზიდენტმა ერთპიროვნულად განაბორკილა აღნიშნული ქმედება — ფედერაციის პრეზიდიუმის წევრებმა, ვიცე პრეზიდენტებმა, გენერალურმა მდივანმა, თავად განთავისუფლებულმა მწვრთნელებმა ყოველივეს შესახებ მხოლოდ მასმედიით შეიტყვეს:

3. განთავისუფლებულ ძირითად ნაკრებთა მწვრთნელების ადგილას გოგიტიძის ბრძანებით ინიშნებიან ადამიანები, რომელთაც არ გააჩნიათ მწვრთელად მუშაობის არანაირი გამოცდილება;

4. თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ სტილით მოჭიდავეთა მთავარ მწვრთნელად სამივე ასაკობრივ ჯგუფში გოგიტიძის ბრძანების თანახმად დანიშნა ვანო ნიკოლაძე; დანიშვნა მოხდა თანამდებობაზე, რომლის შტატიც ფედერაციაში საერთოდ არ არსებობდა და არც დაუშვია ვინმეს (წესდება 7.9 პუნქტის თანახმად შტატის დაშვება შეეძლო მხოლოდ პრეზიდიუმს);

5. ახალმა პრეზიდენტმა საქართველოს ნაკრები გუნდების მწვრთნელებისთვის განსაზღვრა ხელფასი თვეში 30-დან 50 ლარამდე თითოეულისთვის; მათ, ვინც არ იკმარებდა ამ ხელფასს, იგი ღია კარისკენ მიუთითებდა; ასეთი დამამცირებელი გადაწყვეტილებით ამირეზა იგი არჩევამდე ბუკლეტში დაბეჭდილი „ღირსეული პირობების შექმნას“ მწვრთნელებისთვის.

6. გოგიტიძის არჩევამდე არსებული დანაპირების მიხედვით მის მიერ მოზიდული სპონსორები გადამწყვეტ როლს ითამაშებდნენ ფედერაციის დაფინანსებისა და მხარდაჭერის საქმეში. რეალურად ჩვენ ავდმოჩნდით აბსოლუტურად საწინააღმდეგო ვითარებაში — სამწვრთნელო-მოსამზადებელი შეკრებების დიდი ნაწილი პრეზიდენტის მიერ დაიგეგმა ბაკურიანში ერთ-ერთი სპონსორის სასტუმროში, სადაც მომსახურების ღირებულება არანაირ შელავათს არ ითვალისწინებდა.

გარდა ამისა, საწვრთნელ-მოსამზადებელი შეკრებების უმდიდრესი ბაკურიანში, ზღვის დონიდან 1800 მეტრ სიმაღლეზე ჩატარება, სადაც მხოლოდ ფიზიკური მოშზადების შეკრებები შეიძლება ჩატარდეს წელიწადში ერთხელ ან მაქსიმუმ ორჯერ, სრულიად მიუღებელი იყო მწვრთნელებისა და სპორტსმენებისთვის.

ჩვენ აგდმოჩნდით ფაქტის წინაშე, როდესაც ფედერაცია სახელმწიფო სახსრების ხარჯზე მხოლოდ პრეზიდენტისთვის სასურველი სასტუმროს სისტემატიური დატვირთვის გზით აქვთ უნდა გამხდარიყო ე.წ. „სპონსორის“ დამფინანსებელი.

პრეზიდენტად არჩევისთანავე, გარდა ზემოთ გადმოცემული ქმედებებისა, სრულიად შეიცვალა გოგიტიძის დამოკიდებულება მის გარშემო მყოფი ჭიდაობის საზოგადოების წარმომადგენლებისადმი. მისი ახლობლების აზრით ეს ადამიანი გადასხვაფერდა და აშკარად მოქმედებდა მათთვის გაურკვეველი ძალების კარნახით. გამოიკვეთა მისი მედიერობა, სხვათა აზრის უუნარობა. ერთპიროვნული მართვის სურვილის პირობებში გამოიკვეთა მისი არაკომპეტენტურობა, უუნარობა.

შედეგად ფედერაციის შიგნით აბმოსფერო სერიოზულად დაიძაბა. საზოგადოება გაიყო ორ — მრავალრიცხოვან, გოგიტიძის საწინააღმდეგო და მცირერიცხოვან — მომხრე ბანაკად. საქმე ფიზიკურ შეხლა-შემოხლამდეც კი მივიდა, რაც არ ახლავს ფედერაციის ისტორიას. პარალიზებული და არეული ვითარების შედეგად ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის წევრებმა უარი განაცხადეს ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ შეკრებაზე ბაკურიანში გამგზავრებაზე ცალკეულმა ცნობილმა სპორტსმენებმა კი გადაწყვიტეს საქართველოს დატოვება. ყველა მათგანი ფაქტობრივად ითხოვდა ერთს — სასწრაფოდ გამოსწორებულიყო შეცდომა, რომელიც დელეგატებმა დაუშვეს პრეზიდენტად ბაკურ გოგიტიძის არჩევის გამო.

ასეთ პირობებში 2005 წლის 11 თებერვალს შედგა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა. ამ სხდომას ესწრებოდა გოგიტიძე მის მომხრეებთან ერთად. წესების 7.11 პუნქტის შესაბამისად, პრეზიდიუმმა თანამდებობრივი მოვალეობების სისტემატიურად შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო გოგიტიძეს ხმათა უმრავლესობით შეუწყვა უფლებამოსილება. ამავე პრეზიდიუმმა დაავალა ვიცეპრეზიდენტ თეიმურ ყარაშვილს დროებით შეესრულებინა პრეზიდენტის მოვალეობა და 2005 წლის 4 მაისისთვის ბაკურ გოგიტიძის გადარჩენის და ახალი პრეზიდენტის არჩევის მიზნით მოეწვია რიგგარეშე ყრილობა.

ამ გადაწყვეტილებამ ბაკურ გოგიტიძის და მისი მკირერიცხოვანი მომხრეების მხრიდან გამოიწვია პროტესტი. ვითარება კვლავ დაძაბული რჩებოდა. ამიტომ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, აგრეთვე ოლიმპიური კომიტეტის ინიციატივით შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა განეხილა ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების კანონიერება. ამ კომისიის 2005 წლის 11 მარტის დასკვნით პრეზიდიუმის გადაწყვეტილება კანონიერად ცნეს.

ოფიციალური სტრუქტურების მკვიდრად გამოხატულმა პოზიციამ სერიოზულად შეუწყო ხელი დაძაბულობის განმუხტვას, თუმცა ყრილობის ჩატარებამდე გარკვეული დრო ამ დაძაბულობისა კვლავ იარსებებს. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ფუნქციონირება უნდა ქონოდა ადგილზე ყარათში, ხოლო ყოფილ პრეზიდენტს ამიერით არ სურს ფედერაციის ბუჭდოთან თუნდაც დროებით დამშვიდობება.

ამგვარად თეიმურ ყარაშვილის მიერ გამოცემული ბრძანება რიგგარეშე ყრილობის ჩატარებისთვის საჭიროა ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელმაც 7.11.03 დაიწყო ფუნქციონირება. განსაზღვრა ფედერაციის ახალი პრეზიდენტობის კანდიდატებისთვის განაცხადების შეტანის ვადაც — 2005 წლის 7-დან 29 აპრილამდე.

სამუშაო ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე — ჯუმბერ დავლიანიძე

წევრები: გიორგი მაკასარაშვილი, დავით ხურცია, თემურ ყაზარაშვილი, ნუგზარ სხირელი, მუხრან ვახტანგაძე, ვლადიმერ ადეიშვილი, ვაჟა ილურიძე

მსოფლიოს ჩემპიონატი. პირველი ეტაპი

ესპანელმა დანიელ პედროსამ შშობლიური ტრიუმფით დაიწყო

დოქტორის ჰეთ თრიქი

წლევანდელ მოტოსეზონში დიდი კალენდარული ცვლილებებია. ჩემპიონატს გამოაკლდა სამხრეთ აფრიკის და ბრაზილიის რბოლები. სამაგიეროდ, პირველად გათამაშდება ჩინეთის, თურქეთისა და აშშ-ის დიდი პრიზები. ასე რომ, გასულ უქმეებზე დაწყებულ ჩემპიონატში შარშანდელზე ერთით მეტი, 17 ეტაპი გაიმართება.

კალენდარში ბევრი რბოლა გადაადგილდა. სეზონი პირველად გაიხსნა ესპანეთში, სადაც სპორტის ამ სახეობის უზარმაზარი პოპულარობის გათვალისწინებით, მოტომხედრები იქ ტრადიციულად სამჯერ გაიჯირითებენ — ხერესის, ბარსელონის და ვალენსიის ტრეკებზე.

ფინანსური პრობლემების გამო პოპულარულმა იტალიურმა საჯინიბომ „აპრილიამ", რაკი სამივე კლასს ვერ გავწვდებითო, ყველაზე ძვირს, „მოტო გრან პრის" უგანა და ორ დაბალ კატეგორიაშიღა დარჩა.

ჩვეულ დიდოსტატურ-აგრესიულ სტილში დაიწყო პირველობა მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონმა ვალენტინო როსიმ. 26 წლის იტალიელმა „დოქტორმა" ხერეს დე ლა ფრონტერას ტრასაზე ჰეთ თრიქით გაიმარჯვა — სარეკორდო შედეგით მოიგო კვალიფიკაცია, რბოლაში უსწრაფესი წრეც მისი იყო და 27-წრიანი დისტანციის ფინიშთან თითქმის ათწამიანი უპირატესობით მიასწრო შარშანდელ ვიცე-ჩემპიონ მასპინძელს, სეტე გიბერნოს.

ტახტი განთავისუფლდა ყველაზე სუსტძრავიან კატეგორიაში: გასული სეზონის ტრიუმფატორი ანდრეა დოვიზიოსო დააწინაურეს, ამჯერად საფეხურით მაღალ, 250-კუბურსანტიმეტრიან კლასში გამოდის და სადებიუტო მეოთხე ადგილით, ვფიქრობთ, სულაც არ უნდა იყოს უკმაყოფილო.

ჩემპიონის არყოფნაში 39 მონაწილეს შორის ყველას აჯობა იტალიელმა მარკო სიმონჩელიმ, რომელმაც ხერესში შარშანაც იპირველა, თუმც ეს მისი ერთადერთი გამარჯვება აღმოჩნდა და სეზონის ბოლოს გენერალურ კლასიფიკაციაში მხოლოდ მე-11 იყო.

მეორე რბოლა მომავალ კვირას პორტუგალიურ „ეშტორილზე" მოეწყობა.

ბია ახალაძე

ესპანეთის დიდი პრიზი. ხერესი — 4423 მ

მოტო გრან პრი — 19,4 კმ

1 ვალენტინო როსი (იტალია, გალუაზ იამაჰა) ——— 45 წთ; 43,2
2 სეტე გიბერნო (ესპანეთი, მოვისტარ ჰონდა) ——— ჩამორჩა 8,6
3 მარკო მელანდრი (იტალია, მოვისტარ ჰონდა) ——— 18,5

საერთო ჩათვლა

1 როსი 25 ქულა; 2 გიბერნო 20; 3 მელანდრი 16; 4 ალექს ბარუში (ბრაზილია, ქემელ ჰონდა) 13; 5 შინი ნაკანო (იაპონია, კავასაკი) 11

250 სმ³ — 115,0 კმ

1 დანიელ პედროსა (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა) — 45 წთ; 36,7
2 სებასტიან პორტო (არგენტინა, აპრილია ასპარი) — ჩამორჩა 2,1
3 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, აპრილია იტალია) ——— 29,7

საერთო ჩათვლა

1 პედროსა 25 ქულა; 2 პორტო 20; 3 დე ანჯელისი 16; 4 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, სკოტ ჰონდა) 13; 5 ექტორ ბარბერა (ესპანეთი, ფორტუნა ჰონდა) 11

125 სმ³ — 101,7 კმ

1 მარკო სიმონჩელი (იტალია, ნოსაბლე აპრილია) ——— 42 წთ; 28,0
2 მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) ——— ჩამორჩა 1,4
3 ფაბრიციო ლაი (იტალია, კოპრონ ჰონდა) ——— 1,5

საერთო ჩათვლა

1 სიმონჩელი 25 ქულა; 2 კალიო 20; 3 ლაი 16; 4 მატია პასინი (იტალია, ტოტი აპრილია) 13; 5 გაბორ ტალმაში (უნგრეთი, რედ ბულ KTM) 11

ოსა ბოლოს დაოსდა

ბასკეთში ესპანელმა ვერ გაიხარა

საშუალო გაქანების ესპანელ მრბოლ აიტორ ოსას არ დასცალდა ბასკეთის ველოტურის მეორედ მოგება. ოსა მთელი ტურნირი ლიდერობდა, მაგრამ მხოლოდ ორი წამით და ეს მყიფე უპირატესობაც ბოლო, მეექვსე ეტაპზე დაკარგა. მეექვსე ეტაპი ინდივიდუალურ რბოლას ეთმობოდა და ოსამ 9,3-კილომეტრიანი დისტანციის დაფარვას 14 წუთი და 7 წამი მოანდომა, მთელი 24 წამით ჩამორჩა ეტაპის მომგებ თანამემამულე ალბერტო კონტადორს და ჩემპიონობას ვინ დაეძებს, პირველიდან საერთოდ მეოთხე საფეხურამდე დაქვეითდა.

პირველობა კი იტალიელ დანილო დი ლუკას დარჩა, რომელმაც ინდივიდუალურ რბოლაში მხოლოდ მეოთხე დრო აჩვენა და საერთოდ, ამ ჯეელს ბასკეთში ეტაპი რაა, ისიც არ მოუგია. მაგრამ სულ ლიდერებში იყო და ჩავარდნის გარეშე გაიარა 744 კილომეტრი.

ეტაპის მოგება ხშირად ბევრს რომ არაფერს ნიშნავს, ესპანელი ალეხანდრო ვალვერდეს მაგალითზეც ჩანს. საზოგადოდ ფეხმარდი სპრინტერები იშვიათად იგებენ მრავალდღიან ველოტურებს, თუმც კი მათ ამ ველოტურზე შეიძლება არაერთ ეტაპზე იპირველონ. ამ ვალვერდემ ექვსი ეტაპიდან ორზე ყველას მიასწრო ფინიშთან, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ 28-ე ადგილს დასჯერდა საერთო ჩათვლაში.

კოტე ყორღია

საბოლოო საერთო ჩათვლა

1 **დანილო დი ლუკა** (იტალია, ლიკვიგას-ბიანკი)	18სთ., 13წთ., 53წმ
2 დავიდე რებელინი (იტალია, გეროლშტეინერ)	+ტ.ნ
3 ალბერტო კოლტადორი (ესპანეთი, ლიბერტი სეგუროსი)	+11ნ.ნ
4 აიტორ ოსა (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	+14ნ.ნ
5 ბობი ჯულიჩი (აშშ, სუს)	+18ნ.ნ
9 დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე-კაფიტა)	+27ნ.ნ
11 დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი)	+30ნ.ნ
28 ალეხანდრო ვალ ვერდე (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	+2სთ., 17ნ.ნ

ფიშერს სოფია ქლის



11-დან 22 მაისამდე ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი გაიმართება და იქ მსოფლიოს მე-11 ჩემპიონი ბობი ფიშერიცაა მიწვეული. ისლანდიის მოქალაქე ბულგარეთში სტუმრის სტატუსით ჩავა.

„ჩვენ უკვე გავუგზავნეთ ფიშერს და ისლანდიის ჭადრაკის ფედერაციას მოსაწვევი" — განაცხადა ტურნირის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა სილვიო დანაილოვმა.

სოფიის ტურნირში მსოფლიოში საუკეთესო დიდოსტატები ითამაშებენ, აი ისინიც: ახლახანს „ამბერის" მომგები ინდოელ ვიშვანათან ანანდი, უნგრელი იუტიდ პოლგარი, ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი, რუსი ვლადიმერ კრამნიკი, ინგლისელი მაიკლ ადამსი და უკრაინელი რუსლან პონომარიოვი.

ტურნირის საპრიზო ფონდი 300 ათასი ევროა.

ლაზა გეგეჭკორი

ზვიგენი და სერფიანი გოგონა



ამერიკელი ბენჯამინ ჰამილტონი შარშანწინ, როცა 13 წლის იყო, ფრიად პერსპექტიულ მოსერფინგედ ითვლებოდა, მაგრამ იმ დღეს, 31 ოქტომბერს, როცა ჰაკაის სანაპიროებზე მეგობრებთან ერთად ვარჯიშობდა, ზვიგენმა მარცხენა ხელი მოაჭამა.

„მოულოდნელად ჩემს ქვემოთ რაღაც შავი დავინახე, — იხსენებს ჰამილტონი — აღმოჩნდა, რომ ეს ზვიგენი იყო. იგი ოავს დამესხა და წყალი უმალ წითლად შეიღება."

5-მეტრიანი ვეფხვისებური ზვიგენისაგან თავის დახსნაში ჰამილტონს ერთ-ერთი მეგობარი დაეხმარა, რომელმაც ხიფათში ჩავარდნილთან ბაიდარით მიცურა.

ჰამილტონს დღემდე კოშმარები ესიზმრება, მაგრამ ცდილობს დაივიწყოს ის საშინელება. მეტიც, უბედური შემთხვევიდან სულ რაღაც სამიოდე კვირის მერე... ისევ სერფს წამოავლო ხელი და ოკეანეს ტალღებს შეება.

ახლა უკვე 15 წლის ჰამილტონმა ამ საშინელი თავგადასავლის შესახებ წიგნი დაწერა, უახლოეს ხანში კი აპირებს სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში ჩასვლას.

„მე მინდა დავეხმარო ბავშვებს, რომლებიც ცუნამისგან დაზარალდნენ. მინდა, დავეხმარო იმ შიშის გაფანტვაში, რომელიც მათ ოკეანემ დაატეხა" — თქვა ბენჯამინ ჰამილტონმა.

ავთანდილ ბუბიშელი

ᲛᲣᲘᲜᲓᲘ ᲮᲘᲚᲓᲖᲔ



ერაზმის ხიდი
როტერდამში:
აი, სად
გადაჭრიბინეს
იქაური
განთქმული
მარათონის
მონაწილეებმა.
შეჯიბრი კი,
ცხადია,
კენიელმა
მოიგო — ჯიმი
მუინდიმ
საჭირო გზა
2 საათში,
7 წუთსა
და 49 წამში
გაირბინა.

AFP როტერდამიდან

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ

კალიფორნიაში, ლონგ ბიჩზე დააგელვებს ჩემპიონ მანქანას ფრანგი სებასტიენ ბურდე. „ფორდ კოსვორტი“ ამაყად გამოიყურება, თუმცა ახალი გამოცდაც ელის ლონგ ბიჩზე, „ფორდ-ტოიოტას“ დიდი პრიზი.



AFP ლონგ ბიჩიდან



ᲢᲐᲘᲒᲔᲠᲘᲡ ᲜᲐᲯᲝᲯᲝ

ოვასტას საგოლფე ტურნირზე გადაჭწყვეტი დღეები დგება: „უცაბედი სიკვდილის“ პლეი ოფი დაიწყო. ტაიგერ ვუდსმა გაიარა ეს ეტაპი და ცოლს, ელინ ნორდეგრენსაც ჩაეხუტა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფიცხელია
დირექტორი პიერრი ოქერმანელიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კაკა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სანი კოტორაშვილი, ლადო ხუციერია, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან ყელურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი ყვითლაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელეუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge